www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 24 ივლისი, 2012 წელი. | №3072 (165) | ფასი 50 თეთრი

72 მილიონი ზარალის ასანაზღაურებლად

მაგდა ლეკიაშვილი

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის მთავრობას დამატებით ხარჯების გაწერა მოუხდა. შესაბამისად, ბიუჯეტის ახალი პროექტი პარლამენტს დასამტკიცებლად უკვე გადაეგზავნა. მინისტრთა კაბინეტის წევრები ამბობენ, რომ წყალდიდობამ კახეთს დიდი ფინანსური ზიანი მიაყენა, რომლის ასანაზღაურებლად საჭირო თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში გაწერილი არ ყოფილა. მთავრობის გუშინდელ სხდომაზე პრემიერმა მადლობა გადაუხადა ყველა უწყების ხელმძღვანელს საგანგებო რეჟიმში მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ ვითარების სრულად გამოსწორებამდე სამინისტროებმა თითქმის 24-საათიანი მუშაობის განრიგი უნდა განაგრძონ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

მასირებული ტერორისტული თავდასხმა ერაყში

5

ქართული თეატრი სამ საუკეთესოს შორის

თეატრალური ხელოვნების მსოფლიო კონგრესი და საუნივერსიტეტო თეატრების საერთაშორისო ფესტივალი მინსკში

ლაშა ჩხარტიშვილი

ივლისის პირველ ნახევარში ბელრუსის დედაქალაქი მინსკი თავის ისტორიაში ყველაზე დიდ სახელოვნებო ფორუმს - მსოფლიო სახელოვნებო კონგრესს მასპინძლობდა. ამ ღონისძიებას საუნივერსიტეტო თეატრების საერთაშორისო ასოციაცია წელიწადში ორჯერ მართავს სხვადასხვა ქვეყანაში.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

ოლიმპიელთა ფიცი

ლონდონში წასვლამდე პატრიარქთან და პრეზიდენტთან

"ზაფხულის XXX ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე საქართველოს სპორტსმენები პირობას ვდებთ, რომ არ დავზოგავთ ჩვენს ენერგიას და ძალას, შესაძლებლობასა და გამოცდილებას, რათა ვაჩვენოთ მაღალი სპორტული შედეგები და წარმატებით დავიცვათ ჩვენი სამშობლოს ღირსება საერთაშორისო სარბიელზე. პირობას ვდებთ, რომ ვიასპარეზებთ ჭეშმარიტი სპორტული და ოლიმპიური სულისკვეთებით და ოლიმპიური ქარტიის წესების პატივისცემითა და დაცვით" - ეს ოლიმპიური ფიცი გუშინ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ოფისში გამართულ ფიცის დადების საზეიმო ცერემონიალზე "ლონდონი 2012"-ის ლიცენზიანტების სახელით ევროპის ჩემპიონმა და ორგზის ვერცხლის პრიზიორმა, ძიუდოისტმა ვარლამ ლიპარტელიანმა წაიკითხა და ყველა ოლიმპიელმა ხელმოწერით დაადასტურა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში.

1 აშშ დოლარი	1.6590₾		
1 ევრო	2.0293₾		
1 ინგლისური გირვანქა	2.6043₾		
1 თურქული ლირა	0.9189₾		
100 რუსული რუბლი	5.1923₾		
თბილისი	33°C - 25°C		
ქუთაისი	39°C - 25°C		
თელავი	34°C - 25°C		
ზუგდიდი	37°C - 21°C		
ბათუმი	32°C - 22°C		
ნავთობი	2.86	-0.07	-2.34%
გაზი	3.07	-0.01	-0.49%
ოქრო	1,578.60	-4.20	-0.27%
ხორბალი	919.50	-23.75	-2.58%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

"ნეფთჩი" და 300 აზერბაიჯანელი ზესტაფონში

სოსო კოტორეიშვილი

დღეს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში საქართველოს ჩემპიონი "ზესტაფონი" ბაქოს "ნეფთჩის" უმასპინძლებს და ურთულესი ამოცანის გადაჭრას შეეცდება - ერთი კვირის წინ აზერბაიჯანის დედაქალაქში გვარიანად შერცხვენენ ზესტაფონელები, 0:3 წააგეს. სამბურთიანი უპირატესობა, ცხადია, ბაქოელებს უხსნის გზას შემდეგი ეტაპისკენ, მაგრამ "ზესტაფონის" მწვრთნელ-ფეხბურთელები ფარხმალს არ ყრიან და გულშემატკივარსაც სასწაულს პირდებიან. რამდენად რეალურია მათი დანაპირები, დღეს გამოჩნდება დავით აბაშიძის სახელობის სტადიონზე.

აზერბაიჯანული დელეგაცია გუშინ დილით ჩამოფრინდა თბილისში და ავტობუსით წყალტუბოს მიაშურა, სადაც სასტუმრო "სპა-ოტელში" დაბინავდა.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

კახეთის რეგიონში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს

სტიქიით დაზარალებულ კახეთის რეგიონში გაწმენდითი და აღდგენითი სამუშაოები გრძელდება. როგორც "ინტერპრესნიუსი" კახეთის გუბერნატორის მოადგილე გიორგი სიბაშვილის განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება, რეგიონში ფქვილის, შაქრის, ზეთისა და მაკარონის სრული მარაგი უკვე შეტანილია. "დაზარალებულ მოსახლეობას სურსათი, დიზელის საწვავი და შხამ-ქიმიკატები ურიგდება. ქალაქ თელავში 8 ათასი ოჯახი მიიღებს 2 ლიტრ ზეთს, 5 კგ შაქარსა და ასევე 5 კგ მაკარონს, ხოლო გურჯაანში, ყვარელში ლაგოდეხსა და თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში დაზარალებული 20 ათასი ოჯახი 2 ტომარა ფქვილს, 10 კგ შაქარსა და 3 ლიტრ ზეთს მიიღებენ," - განაცხადა სიბაშვილმა. მისივე ინფორმაციით, მოსავლის გარეშე დარჩენილი 1600 ოჯახი, რომელიც პირველი კატეგორიის დაზარალებულად არის მიჩნეული, ფულად კომპენსაციას 1300-დან 1500 ლარამდე მიიღებს.

"სამი კატეგორიის დაზარალებული მოსახლეობა გვყვავს. პირველ კატეგორიაში 1600 ოჯახი მოხვდა, მეორე კატეგორიაში - 2100, ხოლო მესამე კატეგორიაში 2 ათასამდე ოჯახია. ეს ხალხი, სასურსათო პაკეტთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისთვის ღებულობენ შხამ-ქიმიკატებს და დიზელის საწვავს, ჰექტარზე 10 ლიტრს," - დასძინა სიბაშვილმა.

რაც შეეხება სახლების გადახურვას, სიბაშვილის ინფორმაციით, 19 ივლისის სტიქიის შედეგად 2 ათასი ოჯახი დარჩა სახურავის გარეშე, მათ შორის თელავში 100 საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა აღდგენითი სამუშაოები დაწყებულია.

"საერთაშორისო ამნისტიის" რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებას

"საერთაშორისო ამნისტია" შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს ოპოზიციის მხარდამჭერთა და ჟურნალისტთა დაცვას პოლიტიკურად გამიზნული ძალადობისგან", - ამის შესახებ ნათქვამია "საერთაშორისო ამნისტიის" ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტში, რომელიც ხელისუფლების ოპონენტებსა და ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტებს ეხება. ორგანიზაცია მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს ყველა პირის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა და კუთვნილებისა და სამართალში მისცეს ბოლოდროინდელ ძალადობრივ შეტევებზე პასუხისმგებელი პირები, რასაც წინ უნდა უძღოდეს ზედმიწევნითი, მიუკერძოებელი და ეფექტური გამოძიება. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს ძალადობა ოპოზიციის წინააღმდეგ არჩევნების მოლოდინში.

როგორც "საერთაშორის ამნისტიაში" აცხადებენ, უკანასკნელი კვირების განმავლობაში დაფიქსირდა კოალიცია "ქართული ოცნების" მიერ გამართული საჯარო აქციების ჩაშლის ფაქტები ფიზიკური დაპირისპირების მიზეზით. გამოქვეყნებულ დოკუმენტში საუბარია 12 ივლისის კარალეთისა და 26 ივნისის მერეთის ინციდენტებზე.

ორგანიზაციის ვებგვერდზე ასევე აღნიშნულია, რომ აქციებისა თუ პოლიტიკურად მგრძნობიარე მოვლენების გაშუქებისას, პროოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართული თავდასხმის შესახებ შეტყობინებების გარდა, ვრცელდება ინფორმაცია პროოპოზიციურად განწყობილი ჟურნალისტების დაშინებისა და ჟურნალისტური საქმიანობის წარმართვის ხელყოფის შესახებაც.

"ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევის მსგავსი რამდენიმე შემთხვევა ამ თვეში საქართველოს სხვა რეგიონშიც დაფიქსირდა. 6 ივლისს "ინფო 9"-ს ჟურნალისტ ნინო ბასიშვილს აედევნენ და ხელი შეუშალეს ჩაწერაში გარდაბანში. 8 ივლისს "ინფო 9"-ს კიდევ ერთ კორესპონდენტს აედევნა პიროვნება კამერით ხელში, რომელმაც ხელი შეუშალა მას, ეწარმოებინა გადაღება გურიაში," - ნათქვამია დოკუმენტში.

"საერთაშორისო ამნისტია" მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალადობისა და დაშინების ყველა ფაქტის ზედმიწევნითი გამოძიება.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი

ნინო ჯავახიშვილი

და სამძიმარს აცხადებს განსვენებულის ოჯახს

პანაშვიდი - 24 და 25 ივლისს, 17 საათზე
მისამართი - სოფიკო ჭიაურელის ქ. N19 (ფიქრის გორა)
გამოსვენება - 26 ივლისს, 14 საათზე სიონის საკათედრო ტაძრიდან

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე ნინო ჯავახიშვილი და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ლევან ბეჟაშვილი თანამდებობიდან გადადგა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელი ლევან ბეჟაშვილი თანამდებობიდან გადადგა. ამის შესახებ განცხადება ბეჟაშვილმა გუშინ აუდიტის ოფისში გააკეთა და გადაწყვეტილების მიზეზად კახეთში მომხდარი სტიქია დაასახელა.

"მივიჩნევ, რომ ჩემი შინაგანი განცდა და ვალდებულებაც არის, ამ ძნელბედობის ჟამს გვერდით დავუდგე ჩემს კახელებს და დავეხმარო მათ სტიქიით მიყენებული ზარალის დაძლევაში, რაც შეუთავსებელია ჩემს თანამდებობასთან. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო თბილისში კონკრეტული მაღალი თანამდებობა და ჩემი მომავალი საქმიანობა, ჩემს მეგობრებთან ერთად, დავუკავშირო ჩემს გაჭირვებულ ხალხზე ზრუნვას," - განაცხადა ბეჟაშვილმა.

მისივე თქმით, ეს არ იყო ადვილი გადაწყვეტილება, მაგრამ დღეს ხალხს განსაკუთრებული ზრუნვა და გვერდით დგომა სჭირდება.

ამასთან, ბეჟაშვილმა არ დაუკონკრეტა, გეგმავს თუ არა კახეთის რომელიმე რაიონში მაჟორიტარად კენჭის ყრას. არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ბეჟაშვილმა შეიძლება, თელავში ან სიღნაღში იყაროს კენჭი. თავად კი წარმოშობით დედოფლისწყაროდანაა. კანონმდებლობით, გენერალური აუდიტორის თანამდებობაზე ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში პირი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან ეწეოდეს სხვა პოლიტიკურ საქმიანობას. შესაბამისად, თუ ბეჟაშვილის მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენა იგეგმება, ის თანამდბეობიდან უნდა გადამდგარიყო.

მისი გადაწყვეტილება უკვე გადაეგზავნა საქართველოს პარლამენტს. კანონმდებლობით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ახალი ხელმძღვანელი პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს.

"ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციით, არსებობს ვარაუდი, რომ სახელმწიფო აუდიტის ხელმძღვანელის პოსტზე შესაძლოა, ოპოზიციის, კერძოდ "ქდმ"-ს წევრი დაინიშნოს. "ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ვეფხვაძე არ ადასტურებს, რომ პარტიის რომელიმე წევრი შესაძლოა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის პოსტზე დაინიშნოს, თუმცა აღნიშნავს, რომ ეს კარგი შეთავაზება იქნებოდა.

"უკვე ოთხი წელია, ვითხოვთ, რეგლამენტში შესულიყო ცვლილება და სახელმწიფოს აუდიტის სამსახურის თავმჯდომარე სწორედ ოპოზიციის შეთავაზებით დანიშნულიყო, მაგრამ "ნაციონალური მოძრაობა" ამას ჯიუტად ეწინააღმდეგება," - განაცხადა ვეფხვაძემ.

IFC-ის პირველი საბანკო პროდუქტი საქართველოში

ნინო ნარჩემაშვილი

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია (IFC), მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმე ქალების დაკრედიტების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოში თავის პირველ საბანკო პროდუქტს წარმოადგენს.

IFC-ს საქართველოს წარმომადგენლობაში აღნიშნავენ, რომ, მეწარმე ქალების დაფინანსების გაზრდის მიზნით, რომლებიც უფრო მეტ სირთულეს აწყდებიან ბიზნესის დაკრედიტებასთან დაკავშირებით, ვიდრე მამაკაცები, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია "საქართველოს ბანკს" 25 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხს გამოუყოფს. პროექტის შედეგად, "საქართველოს ბანკი," რომელსაც ქვეყნის მასშტაბით 164 სერვისცენტრი გააჩნია, დააფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში. ეს IFC-ის პირველი საბანკო პროდუქტია საქართველოში, რომელიც მეწარმე ქალების ბიზნესის დაფინანსებას ისახავს მიზნად და ხელს შეუწყობს მათ, ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში უფრო აქტიური როლი შეასრულონ.

სამხრეთ კავკასიაში IFC-ის რეგიონული მენეჯერის თომას ლუბეკის განცხადებით, **"პროექტი საქართველოში საშუალო საწარმოების გაფართოებისა და მოდერნიზებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფას ითვალისწინებს. მეწარმე ქალების მიერ ჩამოყალიბებულ საწარმოებს მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვთ. ეს პროექტი მათთვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობას გაზრდის და ამ გზით საზოგადოების ფართო ნაწილის შემოსავლების ზრდას შეუწყობს ხელს."**

მისივე განცხადებით, IFC მეწარმე ქალებს მსოფლიო მასშტაბით უწყობს ხელს, რამდენადაც ეს განვითარებად ქვეყნებში მდგრადი კერძო სექტორის წახალისების მისიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. IFC თანამშრომლობს საფინანსო ინსტიტუტებთან მეწარმე ქალებისთვის ფინანსური რესურსების გაზრდის მიზნით მიზნობრივი კრედიტების გამოყოფის, ბაზრის ანალიზისა და მეწარმე ქალების უნარ-ჩვევების გაუმჯობესების გზით. IFC-მ მეწარმე ქალებზე ორიენტირებული საბანკო პროგრამა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 2011 წელს წამოიწყო, რითიც პარტნიორი ბანკების მეშვეობით მეწარმე ქალების დაკრედიტებას უწყობს ხელს.

IFC "საქართველოს ბანკის" გაერთიანებულ სამეფოში დარეგისტრირებული ჰოლდინგური კომპანია bank of georgia holdings PLC-ის აქციონერია, რომლის აქციებიც 2012 წლის 28 თებერვალს ლონდონის საფონდო ბირჟამ პრემიუმ ლისტინგში განათავსა.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), ხელს უწყობს "საქართველოს ბანკს," გაზარდოს მცირე და საშუალო ბიზნესის, განსაკუთრებით, მეწარმე ქალების, დაფინანსება, რის შედეგადაც მოსალოდნელია ქალთა კიდევ უფრო აქტიური ჩართვა ბიზნესში და საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

"საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის ირაკლი გილაურის განცხადებით, "მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების ზრდა, ჩვენი საცალო საბანკო საქმიანობის ერთ-ერთი მიზანია. ეს თანამშრომლობა საშუალებას მისცემს "საქართველოს ბანკს," დააფინანსოს ბიზნესის მფლობელი ქალბატონები, რომელთა როლიც ქვეყნის მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია. პროექტი ასევე სტიმულს მისცემს ქართულ ეკონომიკაში მეტი სამუშაო ადგილის შექმნას."

საქართველო IFC -ის წევრი 1995 წელს გახდა. IFC-ის ინვესტიციებმა საქართველოში, სხვადასხვა სექტორის 42 პროექტში, თითქმის 660 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. გარდა ამისა, IFC თავისი საკონსულტაციო პროექტის ფარგლებში მუშაობს საქართველოს საგადასახადო სისტემის რეფორმირების მიმართულებით, რაც მცირე ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, IFC საკონსულტაციო პროექტების მეშვეობით კომპანიებს სურსათის უვნებლობის სტანდარტების ამაღლებაში ეხმარება და ასევე, ბანკებთან მათი რისკის მართვის პრაქტიკის განმტკიცების მიზნით მუშაობს.

მასობრივი არეულობა კისლოვოდსკში

რუსეთის ქალაქ კისლოვოდსკის ცენტრში მომხდარი მასობრივი არეულობა სამი ახალგაზრდის მკვლელობით დასრულდა. რუსული მედია მომხდარი კონფლიქტის თაობაზე, სხვადასხვა ვერსიებს ავრცელებს.

რუსული მედიის ინფორმაციით, სამი კავკასიური წარმომავლობის ახალგაზრდა - ქართველი, სომეხი და ყარაჩაელი, კისლოვოდსკის ცენტრში პერვომაისკის პროსპექტზე ბაზრის ახლოს იდგნენ და მშვიდად საუბრობდნენ. ამ დროს მათ კამუფლიაჟში გამოწყობილი კაზაკების საპატრულო ჯგუფი მიუახლოვდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ მათ ახალგაზრდებს ცემა დაუწყეს.

კაზაკებმა 19 წლის ეროვნებით ქართველს, სახელად გიას ყელი გამოჭრეს, 21 წლის სომეხ ჯონიკას პისტოლეტიდან ესროლეს, ხოლო 23 წლის ყარაჩაელს დანა გაუყარეს.

ეროვნებით ქართველი და სომესი ახალგაზრდები მიყენებული სასიკვდილო ჭრილობებისგან ადგილზევე გარდაიცვალნენ, მესამე დაჭრილი კი რეანიმაციაში იმყოფება.

თვითმხილველთა თქმით, ახალგაზრდებმა თავდაცვისას სამი კაზაკი დაჭრეს. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. საქმეში მოწმეებად 2 პოლიციელი ფიგურირებს, რომლებიც შემთხვევის ადგილზე სროლის ხმაზე მივიდნენ. მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია 3 ადამიანი.

მედიის ინფორმაციით, მასობრივ არეულობაში 15 ადამიანი მონაწილეობდა. პოლიციამ მალევე დაადგინა მკვლელობაში ეჭვმიტანილის ვინაობა. დაკავებულია 23 წლის კრასნოდარელი სტუდენტი. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დაკავებულია კიდევ ორი ეჭვმიტანილი, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

რუსულ მედიაში მომხდარის შესახებ რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთის მიხედვით, კონფლიქტი ნაციონალურ ნიადაგზე მოხდა. მეორე ვერსიით კი, ჩხუბის საფუძველი რელიგიური მოტივი გახდა. მოგვიანებით გაჩნდა კიდევ ერთი ვერსია, რომლის მიხედვითაც, კონფლიქტი ნაციონალური მოტივით დაგეგმილი პროვოკაცია იყო, რასაც ნაციონალური შუღლი უნდა მოჰყვეს. ამავე ვერსიით, მოკლულები რეალურად კავკასიელები არ არიან.

სამართალდამცველები ამ ვერსიას მართალია უარყოფენ, თუმცა ქალაქის მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნებას სთხოვენ, რათა მომხდარი ფაქტი მართლაც არ გადაიზარდოს ნაციონალურ შუღლში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

72 მილიონი ზარალის ასანაზღაურებლად

პირველი გვერდიდან

მთავრობის სხდომაზე ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები მინისტრთა კაბინეტს ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემ გააცნო. მისი თქმით, იქმნება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის 50-მილიონიანი ფონდი. თანხა მთლიანად მოხმარდება კახეთში გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელებას. გარდა ამისა, კახეთის განვითარების პროგრამისთვის 110 მილიონი ლარი გამოიყო, საიდანაც 20 მილიონი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას მოხმარდება.

"კახეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტს ასიგნებები გაეზრდება - მთლიანად, დაახლოებით, 2 მილიონის ოდენობით. 17 მილიონი ლარი მთავრობის სარეზერვო ფონდში რჩება, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში, თანხა სტიქიით დაზარალებული რეგიონებით აღდგენას მოხმარდება," - განაცხადა დიმიტრი გვინდაძემ. მისივე თქმით, იზრდება ჯანდაცვის სამინისტროს დაფინანსებაც 6 მილიონი ლარით. ეს თანხა სამუშაოს მაძიებლების მონაცემთა ბაზის შექმნას მოხმარდება.

თავის მხრივ პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა პარლამენტს სთხოვა, ბიუჯეტში ცვლილებები რაც შეიძლება მოკლე ვადაში დაამტკიცოს.

მთავრობის სხდომაზე დევნილების შესახებ ახალი პროგრამა წარადგინა მინისტრმა დალი ხომერიკმა. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო დევნილთა საჭიროებების შესწავლის პროგრამას იწყებს. ხომერიკის თქმით, პროგრამა ჯანდაცვის სამინისტოს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ერთად განხორციელდება. მისივე განცხადებით, უწყების მთავარი მიზანია, თითოეული დევნილისთვის ხელმისაწვდომი იყოს მთავრობის ახალი პრიორიტეტები: ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა და დასაქმება. ამ მიზნით ლტოლვილთა სამინისტრო გამოკითხვის ჩატარებას გეგმავს, რაც, მინისტრის თქმით, ხელს შეუწყობს ლტოლვილების კონკრეტული საჭიროებების გამოვლენას. ამის მიხედვით, ლტოლვილთა სამინისტრო მიზნობრივ პროგრამებს განახორციელებს.

"პირველ რიგში, უნდა შევაგროვოთ ინფორმაცია დევნილთა საჭიროებებზე. ეს გამოიწვევს დევნილთა პირდაპირ ჩართულობას საკუთარი საჭიროებების განსაზღვრაში. ასევე, მოხდება კერძო სექტორში მცხოვრებ დევნილთა აღრიცხვა. ეს პროგრამა სამ ეტაპად განხორციელდება - შემუშავდება კითხვარები, შეიქმნება მონაცემთა ბაზის აპლიკაცია და ეს, საბოლოო ჯამში, განთავსდება ელექტრონულ ვებგვერდზე. გამოკითხვის ძირითადი ეტაპი პირველი აგვისტოდან დაიწყება და ერთ თვეს გაგრძელდება. შეირჩევა 185 ინტერვიუერი, რომლებიც დევნილები იქნებიან," - ამბობს დალი ხომერიკი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთავრობის სხდომაზე მედიის წარმომადგენლებისთვის მუშაობის რეჟიმი იცვლება. მთავრობის პრესსამსახურის უფროსი ზურა გვენეტაძე "24 საათთან" საუბარში ამბობს, რომ მთავრობის სხდომაზე მხოლოდ შტატივიანი კამერები შევა, რომლებიც კადრებს "აკრეფენ", ანუ მთავრობის სხდომის "შესავალ ნაწილს" გადაიღებენ. სხვა მედიასაშუალებებს, რომლებიც შტატივიანი კამერებით არ მუშაობენ, ასევე ფოტოგრაფებს, სხდომაზე არ უშვებენ. სხდომის ფოტოებს თავად პრესსამსახური გაავრცელებს.

ჟურნალისტებს ასევე აღარ მიუწვდებათ ხელი მთავრობის სხდომების დასრულების შემდეგ მინისტრებთან კომენტარების ჩაწერაზე. იმ სართულზე, სადაც მთავრობის სხდომა იმართება, მედიის წარმომადგენელთა ასვლა აიკრძალა.

საბიუჯეტო ცვლილებები რიგგარეშე სხდომაზე

დათო გამისონია

გუშინ ბიუროს სხდომაზე 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების პროექტი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის ხელმოწერით შევიდა.

დღეს ფინანსთა მინისტრი დიმიტრი გვინდაძე ოპოზიციური ფრაქციების - "ერთობა სამართლიანობისთვის" და "ქრისტიან-დემოკრატების" წევრებს ცვლილების პროექტს გააცნობს და მათ შენიშვნებს მოისმენს. დღის მეორე ნახევარში კი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი შემაჯამებელ სხდომას გამართავს. რიგგარეშე სესიის სხდომაზე ცვლილების განხილვა და კენჭისყრა 25 ივლისს იგეგმება.

პროექტის თანახმად, მიმდინარე წლის ივლისში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისთვის 162, 3 მილიონი ლარი იქნება მობილიზებული.

ახლი პროგრამის - "სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია" - განსახორციელებლად 50 მილიონი ლარი გამოიყოფა. პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის დაზიანებული სახლების რეაბილიტაცია, დაზარალებული მოსახლეობის საკვები პროდუქტებით მომარაგება, სასოფლო სამეურნეო სავარგულების მფლობელებისთვის კომპენსაციის გაცემა და სხვა ღონისძებები იგეგმება. ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტში კახეთის სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების მიზნით შექმნილი პროგრამის ასიგნება იზრდება.

ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამის - "კახეთის განვითარების პროექტის" ასიგნება 110.2 მილიონი ლარია. ამ თანხიდან 30.2 მილიონი ლარი საბიუჯეტო სახსრებია, ხოლო 80 მილიონი - მსოფლიო ბანკის შეღავათიანი კრედიტი, რომელიც მოქმედ ბიუჯეტშიც აღნიშნულია. პროგრამის ფარგლებში საგზაო, ურბანული, ტურისტული და წყალ-კანალიზაციის ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია იგეგმება.

სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი 2012 წელს შესრულდება. გარდა ამისა, 2.1 მილიონი ლარი, სპეციალური ტრანსფერის სახით, კახეთის რეგიონის თვითმმართველ ერთეულებს გამოეყოფა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები კი 6 მილიონი ლარით იზრდება, რაც სამსახურის მაძიებელთა აღრიცხვას და ერთიანი ბაზის შექმნას უნდა მოხმარდეს.

ბიუჯეტის ცვლილების პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად სახელმწიფოს საგარეო ვალდებულებების მომსახურებისთვის გათვალისწინებულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომია გამოიყენება. ეკონომია საერთაშორისო ვალუტებთან ლარის გაცვლითი კურსის დინამიკიდან და სახელმწიფო ვალის კონსერვატიული და სტრატეგიული დაგეგმვიდან და მართვიდან წარმოიქმნა.

როგორც განმარტებით ბარათშია ნათქვამი, საქართველოს საგარეო ვალის უდიდეს ნაწილზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება. აღნიშნული ვალის მცირე ნაწილის საპროცენტო განაკვეთები ე.წ. მცოცავ განაკვეთებზეა დამოკიდებული. მისი ზღვრული დონე პირდაპირ უკავშირდება მსოფლიოს წამყვანი ცენტრალური ბანკების ფულად-საკრედიტო პოლიტიკას და წამყვან საერთაშორისო კომერციულ ბანკებს შორის გადასესხების განაკვეთის დონეს.

2012 წლის პირველი 6 თვის შედეგებით და 2012 წლის შემდგომი თვეების პროგნოზით, საბაზისო საპროცენტო განაკვეთი დაბალ ნიშნულზე დარჩება.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ აქცენტი სტიქიის შედეგების ლიკვიდაციაზე გაკეთდება, თუმცა ამის გამო არც ერთი დაგეგმილი პროექტი არ შეჩერდება. დინამიკა 2012 წლის ბიუჯეტის მაკრო-ფისკალურ პარტამეტრებს სრულად შეესაბამება.

განმარტებითი ბარათისგან განსხვავებით, მოქმედ ბიუჯეტთან ცვლილების პროექტის შედარებისას ირკვევა, რომ რამდენიმე საბიუჯეტო ორგანიზაციის დაფინანსების შემცირებაც არის გათვალისწინებული.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანასება მცირდება 1, 350.0 ათასი ლარიდან 1.280.0 ათას ლარამდე; ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება - 115,759.0 ათასი ლარიდან 110,759.0 ათას ლარამდე. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საბიუჯეტო სახსრები 108,463.7 ათასი ლარიდან 79,097.4 ათას ლარამდე. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსი - 125,100.0 ათასი ლარიდან 124,900.0 ათას ლარამდე; საგარეო საქმეთა სამინისტროსი - 91,000.0 ათასი ლარიდან 83,500.0 ათას ლარამდე; შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსება - 585,200.0 ლარიდან 585.050.0 ლარამდე; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებები - 600,880.0 ათასი ლარიდან 600,680.0 ათას ლარამდე; ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა სამინისტროს ასიგნებები - 36,400.0 ლარიდან 36,300.0 ათას ლარამდე; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს საბიუჯეტო სახსრები - 9, 100.0 ათასი ლარიდან 8, 950.0 ათას ლარამდე; გარემოს დაცვის სამინისტროსი - 16, 881.0 ათასი ლარიდან 16, 831.0 ათას ლარამდე; ხოლო სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ასიგნებები - 59, 209.5 ათასი ლარიდან 59.089.5 ათას ლარამდე.

ოპონენტების შეფასებები

დაგეგმილ საბიუჯეტო ცვლილებებს ოპოზიციონერი დეპუტატები აფასებენ.

ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი ბიუროს სხდომაზე გამოვიდა ინიციატივით, რომ კახეთში სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კომპენსაციის სახით 5 000-დან 10 000 ლარამდე გამოიყოს. **"1500 ლარით დახმარება ამ ადამიანებისთვის არაფერს შეცვლის,"** - აღნიშნავს ახვლედიანი. მისი განმარტებით, 2012 წელს საქართველოს ეკონომიკის 5-პროცენტიანი ზრდა იყო ნავარაუდები. **"სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, დღეს უკვე 8-პროცენტიანი ზრდაა,** - ამბობს ახვლედიანი, - **ეს ნიშნავს, რომ მთავრობას დამატებითი 300-400 მილიონის მობილიზება შეუძლია."**

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ ახვლედიანს განუმარტა, რომ ბიურო შინაარსობრივი განხილვის ადგილი არ არის. ასეთივე შენიშვნა მიიღო "ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ. მან ბიუროს სხდომაზე მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებში არსებული თანხების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ითხოვა. **"გაუგებარია, რატომ გვჭირდება ბიუჯეტში ცვლილებები, როცა ასეთი შემთხვევისთვის არსებობს მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდები, რომელთა მოცულობაც 50-50 მილიონ ლარს შეადგენს. თუ ფონდებში ეს თანხები უკვე აღარ არის, მაშინ მთავრობამ მოგვახსენოს, რაში დახარჯა",** - აღნიშნა ბაღათურიამ.

დავით ბაქრაძემ დეპუტატს უთხრა, რომ ამ საკითხზე კითხვები ფრაქციის სხდომაზე ფინანსთა მინისტრ დიმიტრი გვინდაძეს დაუსვან.

"თავისუფალი დემოკრატების" წევრმა გია ცაგარეიშვილმა დაგეგმილი საბიუჯეტო ცვლილების შესახებ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. ცაგარეიშვილი მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან თანხის არამიზნობრივი ხარჯვის შესახებ საუბრობს. ამიტომ, როგორც ირაკლი ალასანიას თანაპარტიელი ამბობს, მთავრობას ფორსმაჟორულ ვითარებაში დასახარჯი თანხა აღარ რჩება. გია ცაგარეიშვილი ფინანსთა სამინისტროს პირველი კვარტლის ანგარიშს იმოწმებს და აღნიშნავს, რომ მთავრობამ 3 თვეში სარეზერვო ფონდიდან 38 მილიონი ლარი დახარჯა. რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, ცაგარეიშვილის თქმით, 4 თვეში 2 მილიონ 131 ათასი ლარია დახარჯული.

პატრიარქმა პრეზიდენტი ალავერდის მონასტრის მარანში დალოცა

საქართველოს პრეზიდენტი, პატრიარქთან ერთად, თელავის საკათედრო ტაძარში იმყოფებოდა. ტაძარში შესვლამდე მიხეილ სააკაშვილი შეკრებილ მოსახლეობას შეხვდა, მოგვიანებით კი მრევლს ტაძარში პატრიარქმა მიმართა.

მისი თქმით, მთელი საქართველო ფეხზე დგას კახელების დასახმარებლად და ამის დასტურია ის ფაქტიც, რომ მთელი ამ დღეების განმავლობაში მთავრობა და პრეზიდენტი კახეთში იმყოფებიან.

პატრიარქის თქმით, რეგიონში მიმდინარე სამუშაოები იმის იმედს იძლევა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

საქართველოს პრეზიდენტმა ილია მეორეს სტიქიის შედეგად დაზარალებულ რეგიონში ჩასვლისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხდა. პატრიარქმა დაზარალებული რეგიონის მოსახლეობას ფულადი დახმარება, სხვადასხვა საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები ჩაუტანა.

ილია მეორემ საქართველო და ქვეყნის პრეზიდენტი ალავერდის მონასტრის უძველეს მარანში დალოცა. "ღმერთს - დიდება და საქართველოს - მთლიანობა და მშვიდობა; თქვენ - კარგად ყოფნა!" - ბრძანა უწმინდესმა ალავერდის მონასტრის მარანში.

პარლამენტის აპარატს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებენ

პარლამენტის დაცლის პროცესის გამო ფრაქციის "ერთობა სამართლიანობის" წევრი, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი პარლამენტის აპარატს კონსტიტუციის დარღვევაში ადანაშაულებს. როგორც მან პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, "როდესაც დეპუტატს უფლებას აღარ აძლევ, შეასრულოს უფლებამოსილება, ეს როგორც კონსტიტუციის, ისე პარლამენტის რეგლამენტის დარღვევაა".

ცაგარეიშვილმა პარლამენტის შენობის დაცლის პროცესი მიუღებელ და გაუგებარ სიტუაციად შეაფასა და დასძინა, რომ მისი ფრაქცია შენობას არ დაცლის, ვიდრე პარლამენტს უფლებამოსილება არ ამოეწურება და უარს არ იტყვის საკუთარი უფლებამოსილების შესრულებაზე, მათ შორის მოქალაქეების მიღებაზე.

მისი თქმით, დეპუტატებს ავეჯი ღამით დიდი სატვირთო მანქანებით გაჰქონდათ.

"ან რამ შემოატანინათ ამდენი ნივთი," - აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

პარლამენტის შენობის გასხვისების საკითხის საჯაროობისკენ მოუწოდებს ხელისუფლებას პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნებაც". როგორც ბიძინა ივანიშვილის პრესსპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ბოლო პერიოდის განმავლობაში ამ საკითხის შესახებ უამრავი ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია გავრცელდა.

"ითქვა, რომ იგი გაიყიდა, შემდეგ ითქვა, რომ არ გაყიდულა. დასახელდა კონკრეტული გვარი, რომელმაც თითქოს იყიდა შენობა, შემდეგ ეს ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტრომ არ დაადასტურა. ყოველივე ამის გამო ჩვენ მოვითხოვთ, რომ პარლამენტის შენობის გაყიდვის მთელი პროცესი იყოს საჯარო და გამჭვირვალე. ხელისუფლებამ ჩვენც და საზოგადოებასაც დღევანდელი მდგომარეობის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს," - განაცხადა ფანჯიკიძემ.

"ლეიბორისტების" განცხადებით კი, პარლამენტის შენობა უკვე გაიყიდა და მისი ახალი მფლობელი კრიმინალია. სოსო შატბერაშვილის თქმით, "ქურდებთან მებრძოლმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტის შენობა ქურდული ტრადიციების მატარებელ, კრიმინალ ივანიშვილის ყოფილ პარტნიორს, ვინმე ქებურიას მიყიდა".

საფრანგეთში საქართველოს ელჩ მამუკა კუდავას ინფორმაციით, საქართველოს პარლამენტის შენობის შესყიდვით, საფრანგეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენ ბუბა ქებურიასთან ერთად, კომპანია "კემპინსკიც" არის დაინტერესებული. კუდავას თქმით, პარლამენტის შეძენის შემთხვევაში შენობაში მაღალი რანგის სასტუმრო დაიწყებს ფუნქციონირებას.

დიპლომატი დარწმუნებულია, რომ ეს იქნება ძალიან დიდი ინვესტიცია ქართულ ეკონომიკაში, რადგან, მისივე ვარაუდით, აღნიშნული სასტუმრო-კომპლექსი საქართველოს ბიუჯეტში ყოველწლიურად დიდ გადასახადებს შეიტანს.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის შენობის პრივატიზების მიზნით აუქციონი ჯერ არ გამოცხადებულა.

ქდმ ხელისუფლებას შიდა ქართლის მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებს

"ქრისტიან-დემოკრატები" ხელისუფლებას შიდა ქართლის რეგიონის მიმართ გულგრილობაში ადანაშაულებენ. პარტიის ლიდერები გუშინ გორის რაიონის სოფელ ყელქცეულაში იმყოფებოდნენ, სადაც მოსახლეობას სოფლის მეურნეობის კუთხით არსებულ პრობლემებზე გაესაუბრნენ.

პარტიის პრესსამსახურის ცნობით, ადგილობრივები აცხადებენ, რომ მათ არ მიეწოდებათ ბუნებრივი აირი, ასევე სოფელში მწვავედ დგას წყალმომარაგების პრობლემა, გაუმართავია სარწყავი სისტემა, არ ფუნქციონირებს სოფლის ამბულატორია, მოხუცები სირთულეებს აწყდებიან სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, ხოლო ბავშვები ვერ იღებენ სათანადო განათლებას საჯარო სკოლების გაუმართაობის გამო.

გიორგი თარგამაძემ და ლევან ვეფხვაძემ მოსახლეობას "ქრისტიან-დემოკრატების" სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა გააცნეს და გლეხებს, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, არსებული პრობლემების მოგვარებას დაჰპირდნენ.

"ამ ნაყოფიერ მიწაზე, ადეკვატური პირობების არარსებობის გამო, გლეხი თავს ვერ ირჩენს და დიდ გასაჭირშია. ხელისუფლებამ სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ვერ შეუქმნა ისეთი პირობები, რომ გლეხს მის ხელთ არსებული პოტენციალი გამოეყენებინა და დამოუკიდებელი შემოსავალის წყარო გასჩენოდა," - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲡᲐᲛ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მექსიკის, კანადის, პოლონეთისა და ირლანდიის შემდეგ მსოფლიო კონგრესს (*AITU-IUTA- www.aitu-iuta.org*) ბელარუსმა უმასპინძლა. დედაქალაქ მინსკში მსოფლიოს 35 ქვეყნის სამასამდე თეატრის ექსპერტი, რეჟისორი, თეატრმცოდნე, ფესტივალების დირექტორები, სახელოვნებო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თეატრის კრიტიკოსები და არტ მენეჯერები შეიკრიბნენ.

მსოფლიო საუნივერსიტეტო თეატრების კონგრესში წელს საქართველოს წარმომადგენლები პირველად იღებდნენ მონაწილეობას. ქართველები კავკასიის რეგიონიდანაც პირველები იყვნენ, რომლებიც მინსკში ე.წ. აუტას კონგრესზე მონაწილის სტატუსით და საკუთარი მოხსენებით წარსდგნენ. საქართველოს წარმომადგენლებმა მოხსენებები კონგრესის სამივე სექციაში - სახელოვნებო თეორია და პრაქტიკა, თეატრის თეორია და კულტურის მენეჯმენტი წაიკითხეს. სამივე მონაწილე - რეჟისორი ირაკლი გოგია, თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი და არტ-მენეჯერი ელენე ბაბაკიშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადშექმნილი თანამედროვე ქართული თეატრის კვლევის ცენტრის დამფუძნებლები და მკვლევარები არიან.

მსოფლიო კონგრესი ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ლიცეუმში თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტის (ITI) გენერალურმა მდივანმა ტობიას ბიანკონემ, საუნივერსიტეტო თეატრების მსოფლიო ასოციაციის (AITU) პრეზიდენტმა ჟან-მარს ლარუემ და ბელარუსის კულტურის მინისტრმა პავლე ლატუშკამ გახსნეს. კონგრესმა მინსკში ხუთი დღე გასტანა და მასში მომხსენებლები მსოფლიოს თითქმის ყველა კონტინენტიდან (სულ 35 ქვეყნის 300-მდე ექსპერტი) მონაწილეობდნენ. ქართველების მიერ წაკითხულმა მოხსენებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია დამსწრეთა შორის, რაც განპირობებული იყო თემების აქტუალობით. ირაკლი გოგიას მოხსენება ეხებოდა "ევროპულ სათეატრო პედაგოგიკას და მისი დანერგვის პრობლემებს პოსტსაბჭოთა სივრცეში". როგორც აღმოჩნდა, ეს პრობლემა არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეს, არამედ სამხრეთ ამერიკის ქვეყნებსაც ეხებათ. კულტურის მენეჯმენტის სექციაში ელენე ბაბაკიშვილის მოხსენება საქართველოს კულტურის სფეროში დაფინანსების ზოგიერთ ასპექტს შეეხებოდა, აღმოჩნდა, რომ ქართულ კულტურას სახელმწიფოდან პროცენტული მაჩვენებლით მეტი დაფინანსება აქვს, ვიდრე პოლონეთს, თუმცა პოლონური თეატრი დღეს ევროპის ლიდერი თეატრია ექსპერიმენტებში. კულტურის პოლიტიკის არქონა საქართველოში ყველაზე მეტად აფერხებს შემოქმედებით პროცესს, სახელმწიფოსა და სახელოვნებო დაწესებულებების ურთიერთობას. თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილის მოხსენება სათეატრო კრიტიკის პრობლემებს მიმოიხილავდა პოსტსაბჭოთა სივრცეში. "თეატრალური კრიტიკა დაკარგული ავტორიტეტის ძიების პროცესში"- ამ სათაურის ქვეშ გააერთიანა მომხსენებლმა თანამედროვე სათეატრო კრიტიკის საკითხები.

ვიზიტის შედეგად საქართველო უკვე გახდა მსოფლიო საუნივერსიტეტო თეატრების ასოციააციის წევრი. საქართველოს ბიუროს ჩამოყალიბებას კოორდინირებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეატრის ხელმძღვანელობა გაუწევს და მასში გაერთიანდება საქართველოში არსებული ყველა უმაღლესი სასწავლებლის თეატრი. საქართველოს გაწევრიანება ამ ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს სტუდენტურ თეატრებს საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის მიღებაში, რადგან საუნივერსიტეტო თეატრების ასოაცია მსოფლიოს ყველა კონტინენტზე 150-მდე სტუდენტურ საერთაშორისო ფესტივალს უწევს კოორდინირებას. წევრი ორგანიზაციები კი ფესტივალებში მონაწილეობას კონკურსის გარეშე მიიღებენ.

მსოფლიო თეატრალური კონგრესის პარალელურად ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა რიგით მე-9 სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალს "თეატრალური კუფარი". მასში 19 ქვეყნის 20 თეატრალური დასი იღებდა მონაწილეობას. ამ ფესტივალზე საქართველოს ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი წარმოადგენდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის, ირაკლი გოგიას სპექტაკლით "ფერფლის პლანეტა". სპექტაკლი აგებულია ცნობილი დრამატურგის დევიდ ზან მაიროვიცის რადიო პიესის "ფერფლის პლანეტის" მიხედვით. ეს გახლავთ ადამიანის ტრაგიკული ისტორია მეორე მსოფლიო ომის დროს. სპექტაკლში მოქმედება ვითარდება აუშვიცის საკოცენტრაციო ბანაკში, სადაც ოთხ მილიონზე მეტი ებრაული და სხვა ეთნიკური ჯგუფის ხალხი გერმანელებმა აწამეს. სპექტაკლში წარმოჩენილია სიყვარულის და სისასტიკის, ძალაუფლების და კაცთმოყვარეობის პრობლემა და ხაზგასმით არის ნათქვამი - რომ ნებისმიერ საშინელ ვითარებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანური სახის და ჰუმანური პოზიციის შენარჩუნებას. ახალგაზრდა რეჟისორი სპექტაკლში იყენებს ექსპერიმენტულ მულტიმედიურ ელემენტებს - რადიო და ვიდეო ეფექტებს.

სპექტაკლი "ფერფლის პლანეტა", რომელშიც ორი მსახიობი - თამარ მახარაძე და დიმიტრი მელია მონაწილეობენ, მშობლიურ ქვეყანაში "დურუჯი 2012-ის" პრემიის მიღმა დარჩნენ. სამაგიეროდ, პექტაკლი მინსკის სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალის "თეატრალური კუფარის" ფავორიტად დასახელდა (იხილეთ წყარო: http://www.belarus-tv.by/rus/culture.asp?id=70574).

აღნიშნული ბმული ბელარუსის სახელმწიფო ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო გამოშვების სიუჟეტია, რომელშიც ქართული თეატრი სამ საუკეთესო თეატრალურ დასად არის მოხსენიებული ფესტივალის ოც მონაწილე სპექტაკლს შორის ფილიპინელების "რომეო და ჯულიეტასა" და ჩინელების "ოჯახს" შორის. უცნაური ის არის, რომ აღნიშნულ საერთაშორისო ფორუმს არც ჟიური ჰყავს და არც სპეციალური კომისია, აქ სპექტაკლს თითოეული მაყურებელი ათბალიანი სისტემით აფასებს. ფესტივალის მონაწილე 19 ქვეყნის (ჩინეთიდან დაწყებული ურუგვაით დამთავრებული) 500 - მდე მონაწილისთვის (მათ შორის, თეატრის ექსპერტები, პროდიუსერები, თეატრის მოღვაწეები და რიგითი მაყურებელი) "ფერფლის პლანეტა" ის სპექტაკლი აღმოჩნდა, რომელმაც ყველაზე მეტად ააღელვა საერთაშორისო აუდიტორია. ამის შესახებ ბელარუსული გამოცემა "http://belarus-theatre.net"-ი წერს: "ქართველთა სპექტაკლმა ჩვენი თეატრის სცენაზე ნამდვილი ემოციის ზღვა გადმოღვარა და კავკასიური ცეცხლი დაანთო, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაქართულ პრობლემაზე თამაშობდნენ თავიანთ სპექტაკლს, თუმცა რა გასაკვრიია, ქართველთა ჰუმანიზმი და თანადგომა სხვა ერების მიმართ მთელს მსოფლიოშია ცნობილი. სწორედ ამ ჰუმანიზმის გამოვლენაა აუშვიცის საკონცენტრაციო ბანაკში დატრიალებული ტრაგედიის ჩვენება საერთაშორისო პუბლიკისთვის. ქართველი რეჟისორის სპექტაკლმა მთელი ფესტივალის უღიმღამო სპექტაკლები დააბალანსა".

"ფერფლის პლანეტა" 3 ივლისს, ბელორუსიის დამოუკიდებლობის დღეს საგანგებო პროგრამის ფარგლებში წარმოადგინეს. სპექტაკლს ესწრებოდა საქართველოს კონსული ბელორუსიაში რევაზ საყვარელიძე. სპექტაკლის შემდეგ მას შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ: "პირველ რიგში, ძალიან მიხარია, რომ ამ უზარმაზარ ფორუმში ქართული თეატრი მონაწილეობს. სამწუხაროდ, ბელორუსია განებივრებული არ არის ქართული სპექტაკლებით, არადა, როგორც ჩანს, ეს ფენომენი დიდ ინტერესს იწვევს ბელარუს მაყურებელში. ეს ინტერესი ამ სპექტაკლმაც დაადასტურა. დღეს, ქართულმა თეატრმა გამოავლინა თავისი ღირსეული სახე და შეაგრძნობინა ყველას, რომ ომს და ძალადობას არ მოაქვს სიკეთე. ეს პრობლემა სიმძაფრით იყო გადმოცემული სპექტაკლში. ჩემი აზრით, ეს ურთიერთობა, რომელსაც ახლა ჩაეყარა საფუძველი, უნდა გაძლიერდეს და განხორციელდეს პროექტები, რომელიც ქართული თეატრის ექსპორტს განახორციელებს ბელორუსიაში, ქართველმა რეჟისორებმა აქ უნდა დადგან სპექტაკლები და პირიქით"- განაცხადა ჩვენთან საუბარში რევაზ საყვარელიძემ.

სპექტაკლზე შთაბეჭდილებები სხვებმაც გაგვიზიარეს:

ალექსანდრე მარჩენკო, ბელარუსული დრამატურგიის ცენტრის ხელმძღვანელი, მსახიობი და რეჟისორი: პირველ ყოვლისა საინტერესო იყო ის თემატიკა, რაც ქართულმა დასმა წარმოადგინა, სიმართლე გითხრათ, ბელარუსისთვის ომის თემა ძალიან აქტუალურია, ისტორიულად, ეს ქვეყანა ომების მსხვერპლი იყო. სხვათაშორის, მეორე მსოფლიო ომის დროს, ყოველი მეოთხე ბელარუსელი დაიღუპა, ამიტომაც ქართველთა სპექტაკლი ჩვენთვის ძალიან მტკივნეული იყო, რომელმაც ისტორიის ბევრი დეტალი გაგვახსენა. ამის გამო, სპექტაკლმა ამაღლებული და ამავდროულად, დამთრგუნველი შთაბეჭდილებები გამოიწვია, განსაკუთრებით მომეწონა, სპექტაკლის ფორმა, რომელიც რეჟისორმა მოიფიქრა. ამ სპექტაკლში ყველა დეტალი თამაშობს თავის როლს. სცენაზე დალაგებული ფეხსაცმელებიც კი, რომელიც დაღუპულთა ფეხსაცმელებად აღიქმება და ამ გვამებიდან ჩნდება გადარჩენილი ებრაელი, როგორც სიმბოლო ღირსებისა. ამავდროულად, რეჟისორი გითრევს სპექტაკლის ატმოსფეროში კამერით და შენც უნებლიე მონაწილე და თვითმხილველი ხდები იმ მოვლენების, რაც სცენაზე თამაშდება.

"ფერფლის პლანეტა" ბელარუსში ქართულ ენაზე ტიტრების გარეშე წარმოადგინეს, რასაც ხელი არ შეუშლია უცხოელი მაყურებლისათვის, რადგან რეჟისორმა ირაკლი გოგიამ მულტიმედიურ, აუდიოვიზუალურ გამომსახველობითი საშუალებებს მიმართა, რასაც ხელი ქართველი მსახიობების პროფესიონალიზმაც შეუწყო. ომი ის თემაა, რომელიც ყველა სახელმწიფოს შეეხო, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებს. მეორე მსოფლიო ომთან დაკავშირებული პერიპეტიები ქართველებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს საერთაშორისო თეატრალურ საზოგადოებას.

ქართველთა მონაწილეობა მსოფლიო თეატრალური სკოლების კონგრესსა და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში "თეატრალური კუფარი" ამით არ ამოწურულა. საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტის და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მინსკში მოეწყო ქართული კულტურის პრეზენტაცია, რომელიც ითვალისწინებდა ქართული ღვინის და საქართველოს, როგორც ტურისტული რეგიონის, გაცნობას საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის.

ობამა ავრორაში დაღუპულთა ნათესავებს შეხვდა

სალომე ჯანიაშვილი

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა ამერიკის ქალაქ ავრორას ესტუმრა, სადაც 20 ივლისის ღამეს კინოთეატრში შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ტრაგედიის შედეგად, რომელზეც "24 საათი" უკვე წერდა, დაიღუპა 12 და დაჭრილია 58 ადამიანი. 24 წლის დამნაშავემ ჯეიმს ჰოლმსმა მაყურებელს კინოფილმის "შავი რაინდი: ლეგენდის აღორძინება" პრემიერაზე ცეცხლი გაუხსნა.

შაბათს საღამოს პოლიციამ ჯეიმს ჰოლმსის სახლში შეაღწია, რომელიც 12 ადამიანის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. მათ განაღმეს ცეცხლგამჩენის ტიპის ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც მას სახლში ჰქონდა დამონტაჟებული. კოლორადოს პოლიციის წარმომადგენელმა კასიდი კარლსონმა განაცხადა, რომ ჰოლმსის სახლში მოხდა კონტროლირებადი აფეთქება არსებული ასაფეთქებლების გასანაღმად. მას შემდეგ, რაც ჰოლმსი დააკავეს, მან თავად განუცხადა პოლიციას, რომ მისი სახლი დანაღმული იყო.

ხუთშაბათს, საღამოს ახალგაზრდა მამაკაცი, რომელსაც აირწინაღი ეკეთა და ჯავშანჟილეტი ეცვა, კინოთეატრში შეიჭრა. მან თავიდან ცრემლსადენი გაზის ყუმბარები ისროლა, შემდეგ კი მაყურებელს ცეცხლი გაუხსნა. ეჭვმიტანილი მალევე კინოთეატრთან ახლოს დააკავეს.

ის ორშაბათს ქალაქ ცენტენიალში სასამართლოს წინაშე წარდგა, სადაც მას ბრალი წაუყენეს. სასამართლომდე ის უარს ამბობდა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე და ჩვენებებს არ იძლეოდა.

კოლორადოში დაღუპულთა სამგლოვიარო ღონისძიებები იმართება. ქალაქ ავრორაში ხალხს კინოთეატრთან ცოცხალი ყვავილები, სანთლები და წერილები მიაქვს. ერთ-ერთ წერილზე ეწერა: "ყველა უდანაშაულო სულს. ეს თქვენთვის არის. ჩვენ არასდროს დაგივიწყებთ. ეს ავრორაა."

ორშაბათს საღამოს გამართულ ბრიფინგზე, რომელიც კოლორადოში ჩატარდა, გუბერნატორმა ჯონ ჰიკენლუპერმა განაცხადა, რომ დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა 70 ადამიანს შეადგენს. მისი სიტყვებით, საავადმყოფოში კიდევ რჩება 30 ადამიანი, მათგან თერთმეტის მდგომარეობა კრიტიკულია. "ეს არის ქმედება, რომელიც ახსნას არ ექვემდებარება. ყველა, ვისაც მე ბოლო დღეების განმავლობაში ვესაუბრე, განრისხებულია," - განაცხადა კოლორადოს პოლიციის უფროსმა, - "მე პირადად იმის მსგავსი არაფერი მინახავს, რაც იქ ვიხილეთ."

გავრცელებული ინფორმაციი, ჯეიმს ჰოლმსს თან ჰქონდა შაშხანა, საფანტიანი თოფი და ორი პისტოლეტი. ყველა იარაღი და საბრძოლო მასალა შეძენილი იყო ლეგალურად, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში. ხელისუფლებამ ეჭვმიტანილსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის ვერავითარი საეჭვო კავშირი ვერ აღმოაჩინა. მკვლელობის მოტივებიც ჯერ-ჯერობით უცნობია. აქამდე ჰოლმსი პოლიციის ყურადღების ცენტრში არასდროს არ ყოფილა. ის მხოლოდ ერთხელ, სიჩქარის გადაჭარბების გამო იყო დაჯარიმებული.

ნიუ-იორკში პოლიციის კომისარმა რეიმონდ კელიმ განაცხადა, რომ ეჭვმიტანილმა თმა წითლად შეიღება და პოლიციას, როგორც ჯოკერი - "ბეტმენის" ყველაზე ბოროტი პერსონაჟი - ისე გაეცნო.

ნიუ-იორკში, სადაც ამ ფილმს აჩვენებენ, უსაფრთხოების ზომები გაძლიერებულია. პარიზში კი გადაწყდა, რომ პრემიერა საერთოდ გაეუქმებინათ.

განცხადება გააკეთა ფილმის რეჟისორმა კრისტოფერ ნოლანმა. მან თქვა, რომ კინოთეატრი მისთვის მშობლიური სახლია და აზრი იმის შესახებ, რომ შესაძლოა, მის სახლში ვინმე შემოიჭრას და უდანაშაულო ხალხს ასე მოექცეს, მისთვის გამანადგურებელია.

24 წლის ჯეიმს ჰოლმსი კოლორადოს უნივერსიტეტში ნეირობიოლოგიას სწავლობდა. საშუალო სკოლა დაამთავრა სან-დიეგოში, კალიფორნიაში, სადაც დღესაც ცხოვრობენ მისი მშობლები. ის ცხოვრობდა ავრორას ჩრდილოეთ ნაწილში, კინოთეატრიდან დაახლოებით 8 კილომეტრის მოშორებით. მიუხედავად მისი აკადემიური მიღწევებისა წინა წლებში, იგი ამჟამად გარიცხვის პირას იყო უნივერსიტეტიდან, სადაც ის ასპირანტურაში სწავლობს. ერთ-ერთმა მისმა მეზობელმა განაცხადა, რომ მას კარგად არ იცნობენ, რადგან ის ყოველთვის კარჩაკეტილად ცხოვრობდა და არავისთან საუბრობდა.

დაპატიმრებულის ოჯახის წევრებმა გაავრცელეს წერილობითი განცხადება, სადაც ნათქვამია: "ჩვენი გულები მათთან ერთად არის, ვინც იყო ჩართული ამ ტრაგედიაში, ასევე მათი ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან. ჩვენ ვთხოვთ მედიას, ამ მძიმე პერიოდში ჩვენს უფლებას პირად ცხოვრებაზე პატივისცემით მოეპყრან."

განცხადება მომხდარ ტრაგედიაზე რომის პაპმა ბენედიქტ XVI-მაც გააკეთა და აღნიშნა, რომ ის მომხდარით "შოკირებულია."

პოლიციას გარდაცვლილთა ვინაობა ჯერ არ გაუხმაურებია. ბოლო აღმოჩენილი ცხედარი კინოთეატრიდან პარასკევს, საღამოს 17 საათზე გამოიტანეს.

აშშ-ს პრეზიდენტის ბრძანებით, შაბათს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეროვნული დროშები დაუშვეს.

"არაბული ლიგა" ასადს "უსაფრთხო წასვლას" სთავაზობს

სირია კი ქიმიური იარაღით იმუქრება

თამთა კახაძე

გუშინ ყატარში გამართულ შეხვედრაზე არაბულ სახელმწიფოთა ლიგის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, თუ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი სწრაფად გადადგება და ქვეყანას დატოვებს, "არაბული ლიგა" მის "უსაფრთხო გადადგომას" უზრუნველყოფს. ხუთსაათიანი შეხვედრის შემდეგ ყატარის საგარეო საქმეთა მინისტრმა შეიხ ჰამად ბინ ხალიფ ალ-ტანიმ განაცხადა: "ჩვენ ოპოზიციასა და "სირიის თავისუფალ არმიას" ეროვნული ერთიანობის მთავრობის ჩამოყალიბებისაკენ მოვუწოდებთ."

არსებული ცნობებით, ამ დროისათვის ალეპოსა და დამასკოში კვლავ გრძელდება სამხედრო დაპირისპირება. ოპოზიციის მონაცემებით, მხოლოდ გუშინ ქვეყანაში 111 ადამიანი დაიღუპა.

გუშინვე განცხადება გააკეთა სირიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯიჰად მაყდისიმ და "უცხოელ ინტერვენტებს" ქიმიური იარაღით დაემუქრა. მისი თქმით სირია ომის მდგომარეობაში იმყოფება, მაგრამ ეს არ არის სამოქალაქო ომი, ეს არის ომი ტერორისტებთან და მათ მხარდამჭერ უცხოურ ძალებთან. მაყდისიმ განაცხადა, რომ სირია არასდროს გამოიყენებს ქიმიურ იარაღს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ, თუმცა არ არის გამორიცხული ეს გაკეთდეს უცხოელი ინტერვენტების ქვეყანაში შემოსვლის შემთხვევაში. მან დასძინა, რომ სირია კარგად დაცული სახელმწიფოა და ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას "თუ ჩვენ ის გვაქვს" საჭიროებისას გენერლები მიიღებენ.

მასირებული ტერორისტული თავდასხმა ერაყში

ივა შილაკაძე

ერაყის დედაქალაქსა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის ქალაქებში აფეთქებებსა და სროლებს, სულ მცირე, 107 ადამიანი ემსხვერპლა. დაღუპულებს შორის ბევრია უსაფრთხოების სამსახურებისა და პოლიციის წარმომადგენელიც. დაშავდა 268 ადამიანი. მხოლოდ ქალაქ ტაჯიში, რომელიც ბაღდადიდან ჩრდილოეთით 20 კილომეტრზე მდებარეობს, სულ ცოტა, 24 კაცია დაღუპული. ეს ქალაქი, ძირითადად, სუნიტებით არის დასახლებული. ჯერ გაისმა 5 თუ 6 აფეთქების ხმა და ამ თავდასხმას 14 კაცი შეეწირა. ერთ-ერთი აფეთქების ადგილას, პოლიციელების მისვლის შემდეგ, კიდევ აფეთქდა მანქანა, რამაც 10 პოლიციელი იმსხვერპლა.

დედაქალაქ ბაღდადში რამდენიმე დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. ერთ-ერთმა მათგანმა შიიტებით დასახლებულ რაიონში 12 ადამიანის დაღუპვა გამოიწვია.

ერაყის ჩრდილოეთში, ქურთული ავტონომიის ერთ-ერთ მთავარ ქალაქ კირკუკში აფეთქდა 7 ავტომობილი. მსგავსი ინციდენტები მოხდა ქალაქებში: დჰულიაში, საადიაში, ხან-ბენი-საადში, ტუზ-ხურმატუსა და დიბისში. უსაფრთხოების სამსახურებს თავს დაესხნენ სხვა რაიონებშიც. არმიის ყაზარმებს დაუშნეს ცეცხლი ნაღმსატყორცნებიდან. ერთ პოლიციელს სახლში დაესხნენ თავს.

თავდასხმების ამ სერიას წინ უძღოდა "ალ კაიდას" ერაყის ფილიალის ლიდერის აბუ ბაკრ ალ-ბაღდადის სახელით გაკეთებული განცხადება. იგი იტყობინებოდა, რომ ტერორისტული ორგანიზაცია გადადიოდა შეტევაზე იმ რაიონებში, რომლებიც "ბოევიკებმა" დატოვეს შარშან დეკემბერში, ერაყიდან ამერიკული ჯარების გასვლის წინ.

ტერაქტების თვითმხილველ უბრალო ადამიანებს არ ესმით, თუ რატომ ფეთქდება ავტომანქანები ღარიბებით დასახლებული უბნების ბაზრებში და რა დააშავა ამ ხალხმა.

ბოლო პერიოდში ერაყში აშკარად იმატა ტერაქტებმა, რომლებსაც მკაფიოდ გამოხატული რელიგიური ელფერი აქვთ. მხოლოდ ივნისში დაიღუპა 237 კაცი, რაც რეკორდული ციფრი იყო ამერიკელების ქვეყნიდან გასვლის შემდგომი პერიოდისთვის. სამწუხაროდ, ეს რეკორდი გუშინ ერთ დღეში "მოიხსნა".

ცნობილი კუბელი დისიდენტი ავტოკატასტროფას შეეწირა

ცნობილი კუბელი დისიდენტი 60 წლის ოსვალდო პაია ავტოკატასტროფაში დაიღუპა. აღნიშნულის შესახებ პაიას მეგობრები და კოლეგები იტყობინებიან. უბედური შემთხვევა ქალაქ ბაიამოსთან ახლოს მოხდა. ოსვალდო პაია ცნობილია როგორც პროექტ "ვარელას" დაამაარსებელი. ეს არის კამპანია, რომელიც მხარს უჭერს კუბაში რეფერენდუმის ჩატარებას, რეფორმების გატარებისა და სამოქალაქო თავისუფლებების (არჩევნები სიტყვის თავისუფლება, პოლიტპატიმრების ამნისტია, თავისუფალი ბიზნესის მხარდაჭერა) მისაღწევად. ის კუბის მცირერიცხოვანი ოპოზიციის სახე იყო.

2002 წელს პაიამ "ვარელას პროექტზე" მუშაობის გამო მიიღო სახაროვის პრემია - ევროკავშირის მიერ დაწესებული ჯილდო ადამიანის უფლებების დამცველთათვის; წარდგენილი იყო ნობელის პრემიაზეც. კუბის მთავრობა მას ამერიკის ჯაშუშად მიიჩნევდა, რომლის მიზანიც ქვეყნის რევოლუციის ძირის გამოთხრა იყო. ინციდენტის დეტალები უცნობია, ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა, მთავრობასთან დაახლოებული კარგად ინფორმირებული ბლოგერის ცნობით, ოსვალდო პაიას მანქანა ხეს შეეჯახა.

ოპოზიცია ალიევს მესამე ვადით გაპრეზიდენტებას "უკრძალავს"

აზერბაიჯანის ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ალი ქერიმლიმ განაცხადა, რომ მოქმედ პრეზიდენტ ილჰამ ალიევს მესამე ვადით არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვს. აღნიშნული განცხადება მან haqqin.az-თან ინტერვიუს დროს გააკეთა. ქერიმლი პარტია "აზერბაიჯანის ეროვნული ფრონტის" ლიდერია. ის, ასევე, ოპოზიციური ალიანსის "საზოგადოებრივი პალატის" წევრიცაა.

ოპოზიციონერის განცხადებით, "კანონს უკუქცევითი ძალა არ გააჩნია" (ცხადია, მხედველობაში ჰქონდა კონსტიტუციის შესწორება, რომელიც ერთ ადამიანს ორზე მეტი ვადით გაპრეზიდეტების ნებას რთავდა). მისი აზრით, მოქმედმა პრეზიდენტმა უკვე გამოიყენა საკუთარი უფლება და ორჯერ იქნა არჩეული ქვეყნის ლიდერად.

ქერიმლიმ დაამატა, რომ, თუ ალიევი მაინც გადაწყვეტს ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში მესამედ მონაწილეობის მიღებას, ოპოზიცია "ამ უკანონობასთან დაკავშირებით მასობრივი წინააღმდეგობის ორგანიზებას გეგმავს."

ილჰამ ალიევი ქვეყანას 2003 წლიდან მართავს. პრეზიდენტის თანამდებობაზე მან გარდაცვლილი მამა - ჰეიდარ ალიევი ჩაანაცვლა. 2008 წელს ის მეორედ აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად; ამის შემდეგ მმართველმა პარტიამ "ახალმა აზერბაიჯანმა" ჩაატარა რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც კონსტიტუციიდან ამოიღეს შეზღუდვა, რომელიც ადამიანს ორ ვადაზე მეტად საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას უკრძალავდა. ცოტა ხნის წინ პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ალი გასანოვმა განაცხადა, რომ მოახლოებულ არჩევნებში "ახალი აზერბაიჯანი" ალიევის კანდიდატურას დაუჭერს მხარს. თუმცა გასანოვმა დაამატა, რომ "პრეზიდენტს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ჯერ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია."

რუსეთში მაღალჩინოსნები დააკავეს

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა, დაუდევრობის ბრალდებით, კრიმსკის მერი ვლადიმირ ულიანოვსკი და კრიმსკის რაიონის ყოფილი ხელმძღვანელი ვასილი კრუტკო დააკავა. კრუტკო წყალდიდობის შემდეგ რამდენიმე დღეში თანამდებობიდან გაათავისუფლეს. დამანგრეველი წყალდიდობა ყუბანში 7 ივლისს მოხდა, ყველაზე მეტად ქალაქი კრიმსკი დაზარალდა. ქვეყნის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს მონაცემებით, წყალდიდობას 171 ადამიანი ემსხვერპლა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა ოფიციალურ მონაცემებზე მაღალ ციფრს ასახელებს.

საგამოძიებო კომიტეტის ცნობით, ასევე დააკავეს კრიმსკის რაიონის საგანგებო სიტუაციების განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ვიქტორ ჟდანოვი. გამოძიების ვერსიით, მაღალჩინოსნებმა საკუთარი მოვალეობები არ შეასრულეს - სწორად არ შეაფასეს სტიქიური უბედურების მასშტაბი და მოსახლეობა წყალდიდობის შესახებ არ გააფრთხილეს. გავრცელებული ინფორმაციით, მათ, შესაძლოა, 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოთ.

თუმცა რუსეთის ოპოზიციური პარტიები კრასნოდარის მხარის გუბერნატორის ალექსანდრ ტკაჩოვის გადაყენებას ითხოვენ, რომელსაც ეს თანამდებობა 2000 წლიდან მოყოლებული უჭირავს. ტკაჩოვი კი ის პიროვნებაა, რომელიც სოჭში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მომზადებაში უმნიშვნელოვანესს როლს ასრულებს. ყველასათვის ცნობილია, ეს პროექტი როგორ მნიშვნელოვანია რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინისათვის.

მოამზადა თამთა კახაძემ

ამერიკა-რუსეთის ურთიერთობა შეიძლება უფრო პრაგმატული გახდეს

"დიდი ოცეულის" სამიტის ფარგლებში ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტების ბარაკ ობამასა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრის შემდეგ არაერთმა ანალიტიკოსმა შემდეგი ვერდიქტი გამოიტანა: ორ პრეზიდენტს შორის თაფლობის თვე დასრულდა. რუსეთისა და ამერიკის პრეზიდენტებს შორის ახლო, თბილი, "ინტერპერსონალური" ურთიერთობის ერა, რომელსაც, მაგალითად, 1990-იან წლებში "ბორისსა და ბილს" შორის ჰქონდა ადგილი, ოფიციალურად დასრულდა.

ახლა, შესაძლოა, ორ ქვეყანას შორის უფრო გამძლე, ხანგრძლივი ურთიერთობა ჩამოყალიბდეს, რომელიც იდეალისტური მოლოდინების ნაცვლად, შეზღუდულ, რეალურ ურთიერთობას დაეფუძნება.

ჯერ კიდევ 2007 წელს პრეზიდენტობის კანდიდატი ობამა რუსეთს შემდეგნაირად აფასებდა: რუსეთი არც მტერია და არც ამერიკის უახლოესი მეგობარი. ეს არცთუ ისე ხელსაყრელი შეფასებაა ამერიკელი პოლიტიკოსისათვის, რომლებიც ძირითადად ოპონენტებად ან მოკავშირეებად ყოფენ ქვეყნებს. თუმცა, ეს ის მიდგომაა, რომელიც ყველაზე შესაფერისად ახასიათებს ორ ქვეყანას შორის ახლანდელ ურთიერთობას:

ამ ქვეყნებს არ გააჩნიათ ერთნაირი ღირებულებები - ეს გამოიხატება იმაში, თუ როგორ უძღვებიან ეს ქვეყნები საშინაო თუ საგარეო საქმეებს. ამერიკის საგარეო პოლიტიკა უმთავრესად შემდეგს ემყარება - ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მთელს მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების გზით. მსგავს რწმენას არ ეფუძნება რუსეთის პოლიტიკა, რომლის პარტნიორებიც შესაძლოა იყვნენ როგორც დემოკრატიული გერმანია და ინდოეთი, ასევე ისეთი არადემოკრატიული რეჟიმები, როგორებიც არიან სირია თუ ჩინეთი. რუსეთისათვის მთავარს რეჟიმის ორიენტაცია წარმოადგენს.

დღეს რუსეთი აღარ ცდილობს, ამერიკა ყველაფერში დაბლოკოს. მაგალითად, რუსეთმა მხარი დაუჭირა ირანის წინააღმდეგ შეზღუდულ სანქციებს. რუსეთმა სანქციების დაწესებას წინააღმდეგობა არ გაუწია იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკისა და ევროკავშირის მიერ ირანის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები რუსეთს რეალურ სარგებელს მოუტანდა.

თუმცა, ცხადია, ორ ქვეყანას შორის რჩება ფუნდამენტალური განსხვავებები გეოპოლიტიკურ საკითხებში, რომელთა შესახებ კონსენსუსზე ფიქრი, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ობამას ორიგინალური ფორმულირება - არც მეგობარი და არც მტერი - შესაძლოა, ორი ქვეყანას შორის პარტნიორობის გაღრმავებას ხელს არ უწყობს, თუმცა ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური დაპირისპირების არეალს ამცირებს.

იმ ფონზე, როდესაც ქვეყნებს შორის პოლიტიკური კავშირები მცირდება, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სავაჭრო კავშირების გაღრმავებას. პუტინმა უკვე აღნიშნა, რომ დაინტერესებულია რუსულ ეკონომიკაში ამერიკის ინვესტიციებით; Wall Street-ი კი მიიჩნევს, რომ Boeing-მა თუ General Motors-მა შესაძლოა, რუსულ ბაზარზე გაყიდვები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ობამამ, შესაძლოა, ჯორჯ ვაშინგტონის "გამოსამშვიდობებელი მიმართვის" შემდეგ გამონათქვამს მისდიოს: "გავაფართოოთ ჩვენი სავაჭრო კავშირები, მიუხედავად იმისა, ველით თუ არა პოლიტიკური კავშირების გაღრმავებას."

გასული ოცი წლის განმავლობაში ამერიკა-რუსეთის ურთიერთობის საყრდენს პრეზიდენტებს შორის არსებული ურთიერთობა წარმოადგენდა. შესაძლოა, ახლა დროა CEO-ებმა (მთავარი აღმასრულებელი დირექტორი) წინა მხარეს გადმოინაცვლონ. ამ დროისათვის ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობა წელიწადში მხოლოდ 35 მილიარდ დოლარს შეადგენს. ორ ქვეყანას შორის ძლიერმა სავაჭრო კავშირებმა შესაძლოა გააკეთონ ის, რაც წლების განმავლობაში პრეზიდენტების დიპლომატიურმა ურთიერთობამ ვერ შეძლო - ღირებულებებს შორის განსხვავებების დაძლევის გზის პოვნა და ორ ქვეყანას შორის ახალი და გამძლე ინტერესთა ერთობის ჩამოყალიბება. ეს ისეთივე შთამბეჭდავი ვერ იქნება, როგორიც "გადატვირთვა", თუმცა ეს შესაძლოა გაცილებით ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

"World Politics Review"-ის
მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ

ირანმა ორი ტერორისტული ქსელი გამოააშკარავა

თამთა კახაძე

ირანის ხელისუფლების განცხადებით, მათ ორი ტერორისტული ქსელი აღმოაჩინეს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ირანელ ფიზიკოსებზე, ბირთვული ფიზიკის სპეციალისტებზე თავდასხმაზე. ირანის დაზვერვის საქმეების მინისტრმა ჰეიდარ მოსლეჰმა განაცხადა, რომ მათ ორ ქსელს მიაგნეს, ერთ-ერთს - თავად ირანში, მეორეს კი - ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

გასული წლის ივლისში ფიზიკოსს დარიუს რეზაინეჯადზე მოხდა თავდასხმა. მკვლელობიდან ერთი წლის შემდეგ მოსლეჰი აცხადებს, რომ მკვლელები ყველანაირად ეცადნენ, კვალი არ დაეტოვებინათ, თუმცა მაინც დაუშვეს ისეთი შეცდომა, რომლის წყალობითაც მათი ქმედების გახსნა გახდა შესაძლებელი.

მთლიანად ირანის სპეცსამსახურებს ფიზიკოსებზე თავდასხმებისთვის 30 სავარაუდო ეჭვმიტანილი ჰყავთ დაკავებული. ოპერაციის დეტალები ცნობილი არ არის. მოსლეჰის განცხადებით, მათ უკან უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები დგანან. თეირანმა ადრე არა ერთხელ დაადანაშაულა ისრაელი, ამერიკა და დასავლეთი ქვეყნის მიერ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობაში ფარულად ხელის შეშლაში.

ირანელ ფიზიკოსებსა და ბირთვულ ობიექტებზე თავდასხმის სია არც თუ ისე მცირეა: 2010 წლის 12 იანვრს თეირანში პროფესორი მასუდ ალი მოჰამედი მოკლეს, იმავე წლის ნომებერში თეირანის სხვადასხვა რაიონში ფიზიკოსებზე - მაჯიდ შაჰრიარსა და ფერეიდუნ აბას დავანზე მოხდა თავდასხმები; აქედან შაჰრარი გადარჩა. 2011 წლის ნოემბერში სოფელ ბიგდანის სამხედრო ობიექტთან დიდი აფეთქება მოხდა, რასაც გენერალი ჰასან ტაჰრან მოგადამი და 11 ოფიცერი ესმხვერპლა; 2011 წლის ბოლოს ისპაჰანში აფეთქება მოხდა ურანის გამამდირებელ ქარხანასთან, 2011 წლის დეკემბერში კი აფეთქება მოხდა ქალაქ იაზდში, სადაც, დაუდასტურებელი ინფორმაციით, ის ცენტრიფუგები მზადდებოდა, რომელსაც ურანის გასამდიდრებლად იყენებენ. 2012 წლის იანვარში თეირანის ჩრდილოეთით ავტომანქანის აფეთქებას ემსხვერპლა 32 წლის მუსტაფა აჰმედ როშანი - თეირანის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი. იგი, იმავდროულად, ქალაქ ნათანზში ურანის გამამდირებელ ქარხანას ხელმძღვანელობდა.

ბიზნესი

ADIDAS-ი ჩინეთში ბოლო ფაბრიკას ხურავს და საქართველოში ბიზნესს აფართოებს

თინა შავაძე

კომპანია Adidas-ი - სპორტული ტანსაცმელისა და ფეხსაცმელის ერთი-ერთი წამყვანი მწარმოებელი მსოფლიოში - ჩინეთში თავის ბოლო ფაბრიკას ოქტომბრის ბოლოს დახურავს. საწარმოში 160 ადამიანია დასაქმებული.

The Wall Street Journal-ის ინფორმაციით, კომპანიის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, წარმოების ეფექტურად მართვის მიზნით ახლა Adidas-ის პროდუქციას ჩინელი პარტნიორები ფრენჩაიზის კონტრაქტების ქვეშ დაამზადებენ.

"ფაბრიკის დახურვა ჩინეთსა და მთელს მსოფლიოში ბიზნესის რესტრუქტურიზაციის ნაწილია," - განაცხადა კომპანიის პრეს-სპიკერმა და დასძინა, რომ კომპანია საკუთარ საწარმოებს აღარ გახსნის.

სპორტული კომპანიები Adidas და Nike პირველი მწარმოებლები იყვნენ, რომლებმაც დასავლური პროდუქტები ჩინეთის მომხმარებელს შესთავაზეს, მაგრამ ახლა ჩინეთში სპორტული ტანსაცმლის ბაზარზე მათი გაყიდვები დაეცა. ივნისში, კომპანიამ Nike-მა, რომელიც ბოლო დროს ჩინეთის ბაზარზე დომინირებდა, განაცხადა, რომ მესამე კვარტალში გაყიდვების მოცულობა, გასულ წელთან შედარებით, 3.9 პროცენტით დაეცა.

ამასობაში Adidas-ის წინააღმდეგ ლონდონის ოლიმპიადის ორგანიზატორებს კომპანიის კამბოჯას ფაბრიკის თანამშრომლებმა საჩივრით მიმართეს, სადაც აცხადებენ, რომ მიზერულ ხელფასს - ყოველთვიურად 60 დოლარს იღებენ და ანაზღაურების 120 დოლარამდე გაზრდას ითხოვენ.

ამ ბრალდებას Adidas-ი უარყოფს და ამბობს, რომ კამბოჯაში თანამშრომლების ყოველთვიური ანაზღაურება 130 დოლარია, რაც ამ ქვეყნის საარსებო მინიმუმზე მაღალია.

ცნობისათვის - მიმდინარე წლის დასაწყისში საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის წევრმა კომპანიამ AJARA TEXTILE-მა კიდევ ერთი ცნობილი ბრენდის Adidas-ის შეკვეთების შესრულება დაიწყო. გასული წლის შემოდგომაზე კომპანიამ წარმოება გააფართოვა და ბათუმში ახალი ფაბრიკა გახსნა, რომელშიც მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელა. ასევე, კომპანიამ 2008 წელს ქობულეთში, ბობოყვათის ტექსტილის თანამედროვე საწარმოს მშენებლობაში 6 მილიონი ლარის ინვესტიცია ჩადო და 500 ადამიანი დააასაქმა. ბობოყვათის ფაბრიკაში Puma-ს შეკვეთებს ამზადებენ.

ორივე საწარმოში შეკერილი სამოსი - მაისურები და შორტები წარწერით "დამზადებულია საქართველოში", მთლიანად დამკვეთებს ეგზავნებათ, რომლებიც სარეალიზაციო არეალს თავად განსაზღვრავენ.

ლონდონის სასამართლომ APPLE-ს ბოდიშის მოხდა დაავალა

თინა შავაძე

ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამერიკულმა Apple-მა საკუთარ საიტზე და ბრიტანულ გაზეთებში უნდა გამოაქვეყნოს შეტყობინება იმის შესახებ, რომ სამხრეთ კორეულ Samsung-ს iPad-ის დიზაინის კოპირება არ მოუხდენია. Bloomberg-ის ინფორმაციით, Apple-ის წარმომადგენლები სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილოები არიან, რადგან მათ საკუთარ საიტზე Samsung-ის რეკლამირება მოუხდებათ.

"არც ერთ კომპანიას არ მოუნდება, საკუთარ საიტზე მყიდველს, კონკურენტი კიდევ ერთხელ შეახსენოს," - აცხადებს Apple-ის ადვოკატი რიჩარდ ჰაკონი.

უმსხვილესი ტექნოლოგიური გიგანტები საპატენტო ომს რამდენიმე წელია, აწარმოებენ.

გასული წლის აგვისტოში Apple-მა ევროპაში Galaxy Tab 10.1-ის გაყიდვების აკრძალვას მიაღწია. პასუხად კი Samsung-მა ევროპის ბაზრისთვის პლანშეტის გაუმჯობესებული ვარიანტი წარმოადგინა, რომელიც ამერიკულ პლანშეტს ნაკლებად ჰგავდა. თუმცა Apple-მა კვლავ განაცხადა, რომ კონკურენტმა პატენტი დაარღვია.

ცნობისათვის - 9 ივლისს ლონდონის უმაღლეს სასამართლოში, Apple-მა Samsung-ის წინააღმდეგ გამართული პროცესი წააგო. ამერიკული ტექნოლოგიების გიგანტი Galaxy Tab 10-ის გაყიდვების აკრძალვას მოითხოვდა.

Apple-ი სარჩელში მიუთითებდა, რომ Samsung-ის პლანშეტური კომპიუტერი ძალიან ჰგავს iPad-ს და მისი პატენტია.

თუმცა, მოსამართლე კოლინ ბრისეს თქმით, Galaxy Tab-ი არა აქვს იგივე "გამოკვეთილი უბრალოება", რომელიც Apple-ის დიზაინისთვის არის დამახასიათებელი".

სან ანტონიომ თქვა ბო

"სან ანტონიოს" ბო მაკალები უნდა. ამერიკელი მაკედონიური პასპორტით, კარგი ინტელექტით და მაგარი მუხლებით. მაკალები ჯერ "სიენაში" ვარჯიშობს, კორლეონეს შეთავაზებას ელოდება და ვარიანტებს არჩევს. "სან ანტონიო" ნორმალური ვარიანტია. გრეგ პოპოვიჩი ტონი პარკერის წუთებს მოჭრის, ენერჯაიზერის ენერგიას გაუფრთხილდება, ფრანგმა უნდა დაისვენოს. ევა ლონგორიას ყოფილი სპანიელის შემდეგ, "სპურსში" არ არის რეალურად კარგი პატარა კაცი, რომელიც გაჭრის დაცვებს, შევა დერეფნებში და იქ კარგ რაღაცეებს ჩაატარებს. მაკალებიც არ არის კლასიკური ფლეიმეიქერი. ბო აკეთებს პირველი ნომრის იმიტაციას და პრობლემებს მეორე ნომრიდან აგვარებს. მაკალები "სან ანტონიოში" უნდა ჩაჯდეს. თუ კონტრაქტი გაფორმდება.

დაიწერა, რომ "სიენას" არ მოეწონა "სან ანტონიოს" შეთავაზება და იტალიელებს უფრო დიდ კუშს "ფენერბახჩე" და უნიქსი უხდიან. მაკალებს ამერიკაში უნდა. ბო იქ არ იქნება ლიდერი და ლიდერებთან ერთად გაიზრდება, ბევრ ნიუანსს დაინახავს და ტიმ დანკანს უკეთ გაიცნობს. უკვე სერიოზული თემაა. შარშან, ევროლიგაზე მაკალები საშუალოდ 16.9 ქულას, 2.6 პასს და 2.2 მოხსნას იღებდა. 27.4 წუთში. მაკალები იტალიის ბოლო ჩემპიონატის MVP იყო. "სიენამ" ლოკალურ ტერიტორიაზე ისევ მასტერკლასი გაუშვა და ამერიკელი დაუნდობელი იყო. როგორც ყოველთვის. ბო დიდი ბიჭია. და ავტოგრაფს საუკეთესო კონტრაქტზე დატოვებს.

დღეს "სან ანტონიოში" ეს ხალხი იღებს ხელფასს - **ჯეიმს ანდერსონი** (ფორვარდი, 1.4 მილიონი დოლარი), **დეჟუან ბლერი** (ცენტრი, 986 000), **მეტ ბონერი** (ფოროვარდი, 3.3), **ბორის დიაო** (ფორვარდ/ცენტრი, 9.0), **ტიმ დანკანი** (ფორვარდ/ცენტრი, 12.3), **ტიაგო სპლიტერი** (ცენტრი, 3.7), **ტონი პარკერი** (გამთამაშებელი, 12.5), **ემანუელ ჯინობილი** (მსროლელი, 12.5), **დენი გრინი** (მსროლელი, 854 000), **სტივენ ჯექსონი** (მსროლელი, 9.2), **კორი ჯოზეფი** (1.2), **კავაი ლეონარდი** (ფორვარდი, 1.7), **გარი ნილი** (762 000). ალბათ, კონტრაქტს გაუფორმებენ საფრანგეთის ნაკრების კიდევ ერთ გამთამაშებელს, ნანდო დე კოლოს.

ოლიმპიადა გაელის გარეშე

საფრანგეთის ნაკრებს ლონდონის ოლიმპიადაზე საინტერესო საჩოგბურთო კაცური ბანდა ეყოლება. ერთეულებში დაიქოქებიან ჟო-ვილფრედ ცონგა, ჟილ სიმონი, ჟულიენ ბენეტო და რიშარ გასკე. წყვილებში იძმაკაცებენ - მიკაელ ლოდრა და ცონგა, ბენეტო და გასკე. ნორმალური შემადგენლობა, რომელიც უკეთესი უნდა ყოფილიყო. საფრანგეთმა ტრავმის გამო ვერ დაიმატა გაელ მონფიზი, რომელიც წელს ცუდ, არასტაბილურ, აჭრილ სეზონს ატარებს. გაელი ფრანგულ ჯაზში ბენეტომ შეცვალა. ჟულიენიც კარგი ვარიანტია.

გაელმა ტრავმების გამო წელს ცოტა მოასწრო. ერთეულებში მოიგო 14, ვერ მოიგო 7 თამაში და არასტაბილური იყო. მონფიზი იწყებს სეზონს დოჰაში და ფინალამდე მიდის. იქ ცონგამ უფრო კარგად შეასრულა საშიანაო დავალება და კიკინებიანი გაელი 7:5, 6:3 დაამშვიდა. ავსტრალიის ღია პირველობაზე მონფიზი მესამე წრემდე მივიდა და იქ ვერ გაიგო, რა უნდოდა მიხაილ კუკუშკინს. ყაზახმა თამაში 6:2, 7:5, 5:7, 1:6, 6:4 წამოიღო. მონფიზმა ბოლო სეტში ბევრი იაღლიში დაუშვა და კუდი ჩოგბურთი ითამაშა. კიდევ ერთი ფინალი მონპელიეში. იქ გაელი ბოლო ტესტს ჩეხ ტომაშ ბერდიხთან ვერ აბარებს (2:6, 6:4, 3:6).

ცონგა: "გაელს რთული სეზონი აქვს. ოლიმპიადაზე რომ ყოფილიყო, გავერთობოდით. საფრანგეთს სოლიდური შემადგენლობა ჰყავს. არ ვიცი, სადამდე გავალთ, მაგრამ ბალახზე თამაში მიყვარს და უიმბლდონი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ტურნირია. კარიერით, ბალახზე კარგი შედეგი აქვს რიშარს (გასკეს), ალბათ, ჟულიენიც კარგი იქნება. ჟილ სიმონი ყველგან ჟილ სიმონია. დაგღლის და თუ გაგიმართლებს, მოუგებ. ძირითადად, ჟილს უმართლებს. საინტერესო ოლიმპიადა იქნება. ყველას უნდა ჯოკოვიჩ-ფედერერის ფინალი. მეც მინდა... მაგრამ ოლიმპიადის მოგება უფრო მინდა. მართლა."

როდიკი

ენდი როდიკი ჰარდის სეზონს კარგად იწყებს

ალექსანდრე ასათიანი

ენდი როდიკი კლასიკური ამერიკელია. უყურებს სიენენს, ცოლთან ერთად დადის კინოთეატრში და ჯიმ ქერის კლასიკაზე ზის. ენდი როდიკი ვარჯიშის წინ ბრიუს სპრინგსტინით ერთობა, მერე კორტზე ერთობა, მერე ცოლთანაც ერთობა და მთელი ეს პროცესი საინტერესოდ მიდის. მისტერ როდიკმა დაკარგა სტამინა, მისტერ როდიკი სტაბილურობასთან ვერ ძმაკაცობს და მისტერ როდიკი ატლანტაში ფინალს იგებს. ენდი ამერიკელების ამერიკელი ჩემპიონი გახდა.

ბოლო ტესტში როდიკი ჟილ მიულერზე გავიდა. მიულერი ლუქსემბურგელია. აქვს ფილიპუსისის სკადური ჩაწოდება, ჰალკის აგრესია და თუ სვლაზეა, ბევრს უთხრის ნერვებს. როდიკთან ბიჭმა სერიოზულად დაიწყო, პირველი სეტი 6:1 აიღო და ამერიკელების ამერიკელი ფავორიტი იდგა. 29 წლის როდიკი კარგ ფორმაშია. მიულერთან გარჩევამდე ბოლო ტურნირებზე 11/10 მოგება აქვს და ჟილს ვერ შიფრავს, ვერ კითხულობს, ვერ მოდის აზრზე, რატომ ვერ იგებს. მიულერმა ლასო მოუშვა და როდიკმა ნელ-ნელა შეუბერა. ენდიმ გამოასწორა პირველი ჩაწოდების პროცენტი. ენდიმ ნაკლები აგრესიით ნაკლები შეცდომა დაუშვა. როდიკი რეალურად კარგი იყო. ამერიკამ თმაზე ბრიოლინი გადაისვა და დაჯილდოვების ცერემონიალისთვის მოემზადა. როდიკის პოდიუმისთვის.

როდიკი: "პირველ სეტს აგებ და ეგრევე სიტუაციის შეცვლას ცდილობ. 1:6, 6:7, 4:6 - მართლა არ აქვს მნიშვნელობა, რა ანგარიშით წააგებ სეტს. რაღაც არ გამოგდის, რაღაც არ მიდის და ეს უნდა გამოსწორდეს. სპორტის სხვა სახეობაში, ვთქვათ, კალათბურთში, ერთი მეოთხედის შემდეგ შეგიძლია დაისვენო, მოუშვა. ჩვენთან არ დაგინდობენ. თუ აგებ, ცდილობენ, რომ იქვე დაგიმთავრონ ყველაფერი. ჟილი ძალიან კარგი მოთამაშეა. მეორე სეტში ცოტა გამიმართლა."

ატლანტა ამერიკული ტურნირების სერიას იწყებს. როდიკს ეს სერია ორჯერ, 2005-06 წლებში აქვს მოგებული. ამერიკელი წელს მეორე ფინალს იგებს. ისტბურნში რეიტინგის ყოფილმა ფედერერმა ანდრეას სეპის გადაუჯოკრა. როდიკს კარიერაში უკვე 32 ფინალი აქვს მოგებული. გასახსენებელი თემაა. 20 წაგებული ფინალიც ბევრია. წაგების და რაოდენობის ამბავში. მიმდინარე სეზონში როდიკს ერთეულებში 32:20 აქვს. ამ როდიკისთვის ნორმალური სტატისტიკაა. ძველი როდიკი ნაკლებს აგებდა და იმ ენდიმ მეტი ეისით მეტი ბონუსი დასვა. კარგი დრო იყო. ის როდიკი ჩოგბურთის სლეში იყო. ცოტა მოძველბიჭო და მაგარი სმენადი. დღეს სხვა სიტუაციაა. ეს როდიკი ძირითადად, დგას, ცოლის დეკოლტეში იყურება და მომენტებში, ჩოგბურთსაც თამაშობს. შეიძლება, ვინმეს მოუგოს და თუ აგებს, საკუთარ თავს ეუბნება, რომ ჩვეულებრივი მომენტია, მოსულა, რა. როდიკმა ამ სეზონში უკვე მოუგო როჯერ ფედერერს (7:6, 1:6, 6:4 მაიამიში) და წააგო დენის სიტომინთან. ენდი არასტაბილურია. ხდება ხოლმე.

პირველ სეტში მიულერმა შეასრულა. ჟილმა პირველი სამი ბრეიქ პოინტიდან ორი გამოიყენა. საკუთარ ჩაწოდებაზე ბიჭმა 11 პირველი ჩაწოდებიდან 10 აიღო. სეტი 33 წუთში მორჩა და როდიკმა დაისვენა. მეორე სეტში უკვე როდიკი მიულერობს. ამერიკელმა 6:5 წაიყვანა და ჟილმა მეთორმეტე გეიმში ორი სეტ პოინტი გამოიღო. სეტი ტაი ბრეიქზე გადადის და როდიკი იქ ორმაგ მინი-ბრეიქს აკეთებს. მიულერი დაიღალა. როდიკმა სეტი წამოიღო და მესამე სეტში უკვე ფავორიტია. მიულერი ერთჯერადი ტიტანია და როდიკმა დაკუნთული, მძიმე (193 სანტიმეტრი, 92 კილოგრამი) ტიპი გადახსნა. მესამე სეტში როდიკმა ორჯერ წაართვა ჩაწოდება მიულერს და თამაში 134 წუთში ჩახურა. როდიკი ძველი როდიკის პაროდია და მაინც როდიკია.

მიულერისთვის ეს სეზონი ძალიან კარგია. ჟილმა 30 ტესტიდან 15 ჩააბარა, 15 ვერ გაიარა და მიულერი რეიტინგში უკვე პირველ სამოცში (56) ზის. შარშან ჟილს კარიერის ჰაილაითი ჰქონდა და რიეტინგში ორმოცდამეორე (42) იყო. ჟილ მიულერი 29 წლის არის.

მიულერი: "როდიკი ფავორიტი იყო. ამერიკაში როდიკთან თამაში არაეალურად რთულია. კორტზე გასვლის წინ ფიქრობ, რომ ეთამაშები ლეგენდას, რომელმაც მოიგო დიდი სლემის ტურნირი. რომელიც იყო რეიტინგის პირველი ნომერი. რომელსაც ჩოგბურთში თითქმის ყველაფერი აქვს ნანახი. როდიკი გამოცდილებით იგებს. ნორმალური სეზონი მაქვს. თუ რაღაც მომენტში არ წავა ჩაწოდება, ვერ იღებ ბურთს, ვერ ასწრებ ბადესთან მისვლას, ეს ნორმალურია. წინ დიდი დრო გაქვს და მთავარია, არ დაიბნე. კომპლიმენტები როდიკს და ტურნირის ორგანიზატორებს. ყველაფერი ხდება. ახალი ტურნირებისთვის მზადებას ვიწყებ."

ენდი როდიკი ისევ კლასიკური ამერიკელია. ძირითადად, უყურებს სიენენს, ცოლთან ერთად დადის კინოთეატრში და იქ პოპკორნს ღეჭავს. სახლში, სექსისგან თავისუფალ დროს, ჯიმ ქერის კლასიკაზე ზის. ხანდახან კრის კრისტოფერსონის კლასიკას იხსენებს. ხანდახან ჩოგბურთის თამაშსაც იხსენებს. ენდი როდიკი ვარჯიშის წინ ბრიუს სპრინგსტინით ერთობა, მერე კორტზე ერთობა, მერე ცოლთანაც ერთობა და მთელი ეს პროცესი საინტერესოდ მიდის. მისტერ როდიკმა დაკარგა სტამინა, მისტერ როდიკი სტაბილურობასთან ვერ ძმაკაცობს და მისტერ როდიკი ატლანტაში ფინალს იგებს. ენდი ამერიკელების ამერიკელი ჩემპიონი გახდა.

ამერიკამ თმაზე ბრიოლინი გადაისვა და დაჯილდოვების ცერემონიალისთვის მოემზადა. როდიკის პოდიუმისთვის.

ATP. რეიტინგი

1(1). როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	**11 075**
2(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი)	11 000
3(3). რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	8 905
4(4). ენდი მარი (დიდი ბრიტანეთი)	7 460
5(5). დავიდ ფერერი (ესპანეთი)	5 455
6(6). ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრანგეთი)	5 230
7(7). ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	4 515
8(8). იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი)	3 320
9(9). ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა)	3 180
10(14). ხუან მონაკო (არგენტინა)	2 695
11(11). ჯონ იზნერი (აშშ)	2 620
12(10). ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი)	2 545
13(13). მარდი ფიში (აშშ)	2 105
14(12). ჟილ სიმონი (საფრანგეთი)	2 070
15(15). მარინ ჩილიჩი (ხორვატია)	2 015
16(16). ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი)	1 720
17(18). ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინა)	1 690
18(19). კეი ნიშიკორი (იაპონია)	1 680
19(20). მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი)	1 635
20(17). გაელ მონფილზი (საფრანგეთი)	1 625
21(21). რიშარ გასკე (საფრანგეთი)	1 600
22(27). ენდი როდიკი (აშშ)	1 600

WTA. რეიტინგი

1(1). ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი)	**8 800**
2(2). აგნეშკა რადვანსკა (რუსეთი)	8 530
3(3). მარია შარაპოვა (რუსეთი)	8 370
4(4). სერენა უილიამსი (აშშ)	7 830
5(5). სამანტა სტოსური (ავსტრალია)	6 195
6(6). პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი)	5 275
7(7). ანგელიკ კერბერი (გერმანია)	5 170
8(8). კაროლინ ვოზნიაცკი (დანია)	4 091
9(9). სარა ერანი (იტალია)	3 620
10(10). მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი)	3 595
11(11). ნა ლი (ჩინეთი)	3 245
12(12). ანა ივანოვიჩი (სერბეთი)	3 190
14(13). ვერა ზვონარევა (რუსეთი)	3 000
15(15). მარია კირილენკო (რუსეთი)	2 635
16(16). კაია კანეპი (ესტონეთი)	2 514
17(17). საბინე ლისიცკი (გერმანია)	2 297
18(18). ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია)	2 260
19(21). ნადია პეტროვა (რუსეთი)	2 235
20(19). ელენა იანკოვიჩი (სერბეთი)	2 220
84(73). ანა ტატიშვილი (საქართველო)	**792**

AK 47 ბრუკლინში

ბრუკლინში საინტერესო ხალხით საინტერესო გუნდი მოდის. დერონ უილიამსის, ჯო ჯონსონის, ჯერალდ უოლასის, ბრუქ ლოპესის ინგრედიენტებით გემრიელი კერძის მომზადება შეიძლება. "ბრუკლინ ნეთსი" მიხაილ პროხოროვის გუნდია და რუსმა ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა, ცოტა ხანში, თეთრ სახლში შესვლა მინდა და შევალო. თეთრ სახლში, ამერიკის პრეზიდენტთან აუდიენციაზე ჩემპიონის ბეჭდით შედიან. პროხოროვს ვიღაცამ უთხრა, რომ "ბრუკლინი" შეიძლება, ჩემპიონი გახდეს. და რუსმა დაიჯერა. ამ გუნდით თეთრ სახლამდე მისვლა რეალურად რთული იქნება. პროხოროვს ამერიკულ-რუსულ გუნდში ყველაზე სერიოზული რუსი კალათბურთელის მიყვანა უნდა. მიხაილმა ანდრეი კირილენკო შეუკვეთა.

თუ არ გახსოვთ, AK 47, იგივე ანდრეი კირილენკო - კარგი ბიჭი, 31 წლის, 206 სანტიმეტრი, კალათბურთს კარგად თამაშობს, რაღაცეები აქვს მოგებული, ხუთი წლის წინ ევროპის ჩემპიონი გახდა. ამერიკაში იყო "იუტაში" და 10 რეგულარულში 12.4 ქულა, 5.6 მოხსნა, 2.8 პასი, 2.0 დაფარება და 1.4 ჩაჭრა წამოიღო. ძალიან კარგი სტატისტიკა. "ბრუკლინს" ეს სტატისტიკა უნდა. კირილენკო ჯერ ცსკაშია და თუ პროხოროვი მოინდომებს, აღარ იქნება და ამერიკაში დაბრუნდება.

ბილი კინგი ("ბრუკლინის" გენერალური მენეჯერი): "გუნდმა თითქმის დაამთავრა რუსტერის შევსება. მხოლოდ ორი მოთამაშის დამატება გვინდა. ალბათ, ერთი მძიმე ფორვარდი და ერთი მესამე ნომერი. თუ ანდრეის დავიმატებთ, კირილენკო ორივე პოზიციაზე იდგება და ჩვენთვის კარგი, თითქმის იდეალური ვარიანტია. ანდრეი ჭკვიანი მოთამაშეა."

ანდრეი კირილენკო დღეს ცსკაში ზის. რუსებმა ლიდერი დაიტოვეს და ახალკი კონტრაქტით მაგარი ფული მისცეს. უბრალოდ, კონტრაქტში წერია - თუ კირილენკოს ამერიკიდან უკეთესი წინანადება ექნება, ანდრეი იქით, პროხოროვთან მიდის. კირილენკო ყველა ვარიანტში იგებს.

კარგი მწვრთნელი

ამარე სტაუდმაიერი ორი კვირით საკალათბურთო კემბრიჯში ისწავლის. იქ ლექციებს პროფესორი ჰაკიმ ოლაჯუონი კითხულობს და ამარე ყველაფერს ყურადღებით ჩაუჯდება. ნახავს, როგორ ითამაშოს. ნახავს, როგორ არ უნდა ითამაშოს. ნახავს, რომ ბევრ რაღაცას ვერ აკეთებს და თუ ჰაკიმი არ დაიღლება, ამარე თითქმის ყველაფერს გამოასწორებს. ოლაჯუონთან ერთად ეს რეალურად კარგი, მარტივი იქნება.

ოლაჯუონი ერთ კვირაში 50 000 დოლარს იღებს და თუ სტაუდმაიერი არ იცელქებს, "ნიქსის" ფორვარდს უფასოდ მოამზადებს. რამდენიმე წლის წინ ჰაკიმი ლებრონ ჯეიმსის მასწავლებელი, მენტორი იყო. ახალმა ჯეიმსმა ახალი კალათბურთი დაინახა, აკრიფა და შარშან სუპერფინალი მოიგო. ეს ჰაკიმთან მეგობრობის შემდეგ იყო. ჯეიმსმა თითქმის გადახაზა უსისტემო სამიანები და უფრო, ცენტრის ჩაყენება დაამუღამა. ლებრონი შეიცვალა. ჰაკიმმა კარგად იმუშავა.

სტაუდმაიერიც კარგად იმუშავებს. ოლაჯუონი კარგი მასწავლებელია. ელეგანტური ჰაკიმი თავისი გენერაციის პირველი ცენტრი იყო. უფრო ჭკვიანი, ვიდრე შაკი. უფრო ჭკვიანი, ვიდრე დევიდ რობინსონი. უფრო სრულყოფილი, ვიდრე პატრიკ იუინგი. და უფრო ჯანმრთელი, ვიდრე ალონზო მურნინგი. სტაუდმაიერი კემბრიჯში ბევრს ისწავლის.

ამარე სტაუდმაიერს შარშან რთული სეზონი ჰქონდა. ტრავმებით ბიჭმა ბევრი ტესტი გამოტოვა და მონაწილეობა მხოლოდ 47 თამაშში მიიღო. ამარეს საშუალო სტატისტიკა 17.5 ქულა, 7.8 მოხსნა და 1.1 პასი იყო. "ნიქსი" ცოტა ჭრელი გუნდი იყო და ბოსებმა ვერ გაიგეს, ვის რა და რა დროს უნდა გაეკეთებინა. კარმელო ენტონი მორიდებული ან ზედმეტად აგრესიული იყო. ჯერემი ლინმა დაიწყო მეჯიქივით და დაამთავრა ლინივით. ბაირონ დევისი მოხუცი პანდაა და ტაისონ ჩენდლერი მარტო დაცვაში აკეთებს საქმეს. სტაუდმაიერი ახალ სეზონში უკეთესი იქნება. ოლაჯუონთან მეგობრობის შემდეგ, ყველა ვარიანტში უკეთესი უნდა იყოს.

ამარე: "ჰაკიმი საქმეს იდეალურად აკეთებს. ყოველთვის მომწონდა მისი მოძრაობები. ელეგანტური, ცენტრისთვის რბილი, საინტერესო, მოქნილი თამაში. ოლაჯუონთან მეგობრობის შემდეგ ლებრონმა მოუმატა. ვნახოთ, ჩვენ რა გამოგვივა."

"ნეფთჩი" და 300 აზერბაიჯანელი ზესტაფონში

პირველი გვერდიდან

"ნეფთჩი" საპასუხო შეხვედრაშიც უმთავარმწვრთნელოდ იქნება - ბუიუქაღა გაჯიევი კვლავ შეუძლოდ ყოფილა და გუნდს პირველი მატჩის მსგავსად მისი თანაშემწე ტარლან აჰმედოვი უთავკაცებს.

ტრადიციულ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე პირველი "ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გია ჭიაბრიშვილი და მეკარე ზურაბ მამალაძე წარსდგნენ. ცხადია, კითხვების უმეტესობას ჭიაბრიშვილმა უპასუხა: "საკმაოდ მძიმე შეხვედრა გველოდება, ბაქოში უპატიებელი შეცდომები დავუშვით და დავისაჯეთ კიდეც, თუმცა ჩვენ მოედანზე ყოველთვის მოსაგებად გავდივართ და ხვალინდელ შეხვედრაშიც ასე იქნება, მით უფრო, რომ საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია გვსურს. შევძლებთ, თუ არა "ნეფთჩის" ბარიერის დაძლევას? ამის იმედი, რომ არ გვქონდეს, ქომაგებს არც მოვუწოდებდით სტადიონზე მოსასვლელად. პირველ შეხვედრაში დაგვიშავდა საკვანძო ფეხბურთელი და კაპიტანი თორნიკე აფციაური. ამ კვირის განმავლობაში ექიმებმა შეძლეს მისი განკურნება და თორნიკე უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს, ოღონდ იქნება, თუ არა ის სასტარტო შემადგენლობაში, ამას თამაშის დღეს გადავწყვეტ" - ასე დაასრულა ჭიაბრიშვილმა პრესკონფერენცია და ადგილი "ნეფთჩის" მწვრთნელ ტარლან აჰმედოვს და იგორ მიტრევსკის დაუთმო.

აჰმედოვმა ჟურნალისტებს ჯერ ის უთხრა, რომ მთავარი მწვრთნელი ბუიუქაღა გაჯიევი მოსკოვში მკურნალობს და მისი მოვალეობის შესრულება ჩემთვის დიდი პატივიაო, შემდეგ დღევანდელ მატჩზეც ისაუბრა: "მიუხედავდ იმისა, რომ შინ 3:0 მოვიგეთ, ჯერ მაინც არაფერია გადაწყვეტილი. მე დიდ პატივს ვცემ ზოგადად ქართულ ფეხბურთს და მიმაჩნია, რომ "ზესტაფონი" საკმაოდ ძლიერი გუნდია. ცხადია, მეტოქე საწყის წუთებში ეცდება გოლის გატანას და უპირატესობის მოპოვებას. ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ ამის საშუალება, თორემ შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დადგეს. სიმართლეს გეტყვით, რომ "ნეფთჩის" მიზანი არა მარტო ამ ბარიერის დაძლევაა, არამედ, კლუბის ხელმძღვანელები მინიმუმ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას გვთხოვენ, მაქსიმუმ კი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შეღწევას. იქამდე კი ჯერ "ზესტაფონი" უნდა გავიაროთ" - განაცხადა აჰმედოვმა და პრესკონფერენციის დასრულებისთანავე "ნეფთჩის" ფეხბურთელები "ზესტაფონის" მოედანზე სავარჯიშოდ გაიყვანა. მისი მოთხოვნით ვარჯიში დახურული იყო.

"ზესტაფონის" პრეს-ატაშემ, სერგო ფუტკარაძემ კი გვითხრა, რომ აზერბაიჯანელებმა თავისი გულშემატკივრებისთვის 300 ბილეთი მოითხოვეს, რა თქმა უნდა, სტუმართა თხოვნა მასპინძლებმა მაშინვე დააკმაყოფილეს. ფუტკარაძემ ისიც გვაუწყა, რომ დღეს დავით აბაშიძის სახელობის სტადიონის ტრიბუნები პირთამდე გაივსება - 300 აზერბაიჯანელი და ათჯერ მეტი ქართველი ტრიბუნებზე. მოედანზე კი "ზესტაფონი" და "ნეფთჩი". შეხვედრა თბილისის დროით 21:00 საათზე დაიწყება და მას ყაზახი მსაჯების ბრიგადა მოემსახურება. მთავარი არბიტრი 34 წლის არტიომ კუჩინი იქნება.

ოლიმპიელთა ფიცი

პირველი გვერდიდან

ოლიმპიელთა ფიცის დადების ცერემონიალი.

გუშინვე ქართველ ოლიმპიელებს ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უმასპინძლა. პრეზიდენტის რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე ქვეყნის პირველმა პირმა ოლიმპიელებს წარმატებები უსურვა. "თქვენ უმნიშვნელოვანეს სპორტულ ფორუმზე მოგიწევთ საქართველოს ღირსების დაცვა. როდესაც ლონდონში ამ დროშის ქვეშ იასპარეზებთ, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებისკენ სწრაფვის სურვილი გაგიორმაგდებათ. წინ დიდი შეჯიბრი გელოდებათ, ჩვენ კი თქვენი გამარჯვებით გამოწვეული დიდი ემოციები. ქართველი კაცი ის მებრძოლია, რომელიც გამარჯვების იმედს, ყველაზე გამოუვალ და რთულ სიტუაციაშიც კი არ კარგავს, გამარჯვების შანსი ყველა სახეობაში გვაქვს, მთავარია ვიბრძოლოთ. მინდა წარმატებები გისურვოთ"- აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

გუშინწინ კი სპორტსმენები და საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია საპატრიარქოში უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო და ლონდონში გამგზავრების წინ გზა დაულოცა და ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებები უსურვა: "მინდა მოგესალმოთ და ასეთ მნიშვნელოვან სპორტულ შეჯიბრზე ყოველივე საუკეთესო გისურვოთ. ღვთის მადლი გფარავდეთ". შეხვედრის დასასრულს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ქართულ დელეგაციას ლონდონში წასაღებად ხატი გადასცა. შეხვედრაზე ითქვა, რომ პეკინის ოლიმპიადის წინაც ქართველი ოლიმპიელები პატრიარქმა დალოცა და სამშობლოში შესანიშნავი შედეგებით დაბრუნდნენ.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური თამაშები საზეიმოდ 27 ივლისს, თბილისის დროით, 24:00 საათზე გაიხსნება. კვირას ლონდონში უკვე გაემგზავრა 8-კაციანი დელეგაცია, მათ შორის, ორი სპორტსმენი - მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა და ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე თავიანთ მწვრთნელებთან ერთად, რათა ადგილზეც მოასწრონ ვარჯიში. ხოლო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური ჯგუფი, დავით გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით, საორგანიზაციო საკითხებს მოაგვარებს. 25 ივლისს კი ჩარტერული რეისით, დიდი დელეგაცია დაიძრება ლონდონისკენ. ამ დელეგაციაში სპორტსმენებისა და ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელთა გარდა, იქნებიან ჟურნალისტები და გულშემატკივრები. 4 აგვისტოს კიდევ ერთი ჩარტერული რეისი შესრულდება, რომელიც სპორტსმენთა მეორე ჯგუფს ჩაიყვანს ინგლისის დედაქალაქში.

"შეგვეძლო ყველა ლიცენზიანტი თავიდანვე ჩაგვეყვანა ოლიმპიადაზე, მაგრამ ეს სპორტული კუთხით საკმაო რისკი იქნებოდა. მაგალითად, მოჭიდავეები საქმეში ოლიმპიადის ბოლოს ერთვებიან და ურჩევნიათ, მანამდე მშვიდად მოემზადონ - განმარტავს სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი - ლონდონში 35 სპორტსმენს ჩავიყვანთ. ჯერ კიდევ შარშან ვთქვი, რომ 30 ლიცენზიის მოპოვება არც თუ კარგი შედეგი იქნებოდა, 35 - კარგი, 40 კი - საუკეთესო. კმაყოფილი ვარ, რომ რეალური მოლოდინი გამართლდა. ვფიქრობ, 7-8 მედლის მოპოვება შეგვიძლია. ცხადია, მეტწილად მოჭიდავეების გვეიმედება, თუმცა მედლის მოპოვება რამდენიმე სხვა სახეობის სპორტსმენსაც რეალურად ძალუძს" - განაცხადა გია ნაცვლიშვილმა.

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ქართველ ოლიმპიელთა მედროშე ლონდონში ნინო სალუქვაძე იქნება.